186
1967

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1967 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.

1. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ.
2. ვაგონების გადმოტვირთვისა და რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის გატანის გაძლიერების შესახებ.
3. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები.

4. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის პრემიების მიცემის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.

5. იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მისი გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში.

10.5.02.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიების დებულების შესახებ.
7. თბილისის მეტროპოლიტენისათვის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელის მიკუთვნების შესახებ.
8. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამატების შესახებ.
9. საკვები ბალახების თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.
10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დროებითი ნორმატივებისა და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 სექტემბრის № 1434 დადგენილების გაუქმების შესახებ.
12. ადგილობრივი საშენი მასალების საცალო ფასების შესახებ.
13. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნისტური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
14. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად ახლადდასახლებულებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის შესახებ.
15. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
16. რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მიწების თვითნებურად დაკავების ფაქტების შესახებ.
17. წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვის ხის დამზადების აკრძალვის შესახებ.
18. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში გამოყენებისათვის მათი ავტორების გასამრჯელოს შესახებ.
19. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ვ. მ. პეტრიაშვილის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ.
20. ტვირთზიდვის გეგმის შეუსრულებლობისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
21. საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა ხუთ სამუშაოდღიან კვირაზე გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხები.
22. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
23. კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ.
24. საკედლე მასალების წარმოების გეგმის შესრულებაში საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ.

25. საქართველოს სსრ მინისტრების და უწყებათა ხელმძღვანელების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ.

26. ქ. თბილისში რვასართულიანი მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლების (სართულის სიმაღლე 3 მეტრი) მშენებლობის ფასების პრეისკურანტის დამტკიცების შესახებ.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 ნოემბრის № 719 დადგენილების დამატებისა და შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები.

28. განკარგულება № 1490-მ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ[1])

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

გააუმჯობესონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ 1967-1970 წლებში ყოფაცხოვრების სამსახურის განვითარების ღონისძიებანი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილება საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის და მომსახურების კულტურის ამაღლება, სამუშაოთა მექანიზაციის გაფართოება და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი სახსრების უფრო სრულად გამოყენების ხარჯზე; გააძლიერონ ყოფაცხოვრების სამსახურის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მშრომელთა მომსახურების ორგანიზაციისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმების და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების განვითარების გეგმების შესრულებისათვის, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა — ყოფაცხოვრების სამსახურის ობიექტების საექსპლუატაციოდ დროზე გადაცემისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაჩქარებით განვითარებას, უზრუნველყონ 1967-1969 წლებში თვითეულ რაიონულ ცენტრსა და დიდ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი კომბინატებისა და პავილიონების მშენებლობა, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეო-

[1]) დანართი არ მოიყვანება.

ბებში — ყოფაცხოვრების სახლების ან კომპლექსური მიმღები პუნქტების მოწყობა;

უზრუნველყონ იმ პირთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოება, რომლებიც ცხოვრობენ სასტუმროებში, კოლმეურნეთა სახლებში, მოტელებში, კემპინგებში, პანსიონატებში, ტურისტულ ბაზებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და ზონებში, ამასთან შეუქმნან მათ იმის პირობები, რომ ისარგებლონ, სათანადო ფასგადახდით, ახელდობრ, ისეთი მომსახურებით, როგორიცაა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის რემონტი, თეთრეულის სწრაფად გარეცხვა და გაუთოება, საპარიკმახერო მომსახურება, მოქალაქეთა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების მიქირავება და სხვ.;

განამტკიცონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები ხელმძღვანელი კადრებით მომზადებულ, ინიციატივიან და ენერგიულ მუშაკთა რიცხვიდან, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ მუშაობაში; უფრო აქტიური გახადონ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა; მათი მთავარი ყურადღება მიაქციონ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკთა შორის, მათს დარაზმვას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და კულტურის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის, სამუშაოთა დაწესებული მოცულობის ძთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; სისტემატურად განიხილონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები პარტიული კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიების, სამინისტროების კოლეგიების სხდომებზე, მიიღონ ქმედითი ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხები ჩათვალონ თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან უბნად.

2. დაუწესდეთ 1968-1970 წლებისათვის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის შესრულების დავალება, როგორც მინიმალური, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ობიექტების მშენებლობისა და ისეთი საყოფაცხოვრებო მომსა-

ხურების ნუსხის დაწესების შესახებ, რაც სავალდებულო წესით უნდა გაეწიოს მოსახლეობას თვითეულ სასოფლო რაიონში;

ბ) შეიტანოს რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში ყოფაცხოვრების სამსახურის ძირითადი ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ განახორციელონ ეს სამუშაოები.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გამოუყონ ქალაქებსა და მუშათა დაბებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს სადგომები მშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში, ამ საწარმოთა თანაბარი განლაგების გათვალისწინებით.

4. რესპუბლიკის დიდი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებმა, მოსკოვის, დონეცის, დნეპროპეტროვსკის, ივანოვოსა და იაროსლავლის ოლქების მაგალითის მიხედვით, ააშენონ და მოაწყონ საკუთარი სახსრებით ატელიეები, სახელოსნოები და მიმღები პუნქტები მუშა-მოსამსახურეებისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად.

წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოებთან ერთად განიხილონ და განახორციელონ ღონისძიებანი იმ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რომლებიც მუშაობენ მათს ქვესაუწყებო საწარმოებში და მშენებლობებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ბევრი ქალი მუშაობს.

საქართველოს პროფსაბჭომ პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაქციოს მუშაობის გაძლიერებას მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, ყოველნაირად ეცადოს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემს მუშებსა და მოსამსახურეებს ზედმეტი გარჯის გარეშე ისარგებლონ საყოფაცხოვრებო მომსახურებით; შეიტანონ ეს საკითხები სამრეწველო საწარმოების კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

5. დაევალოთ საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს უფრო ფართოდ განახორციელონ თავიანთი ძალებით და საკუთარი სახსრებით აბანოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებისა და პავილიონების მშენებლობა, აგრეთვე გამოუყონ ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებს სახელშეკრულებო საწყისებზე საჭირო სადგომები, სატრანსპორტო საშუალებანი და გაუწიონ კომუნალური და სხვა მომსახურება.

6. დაწესდეს ყოფაცხოვრების სამსახურის საუკეთესო საწარმოებისათვის უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომები მოსახლეობის მომსახურების ხარისხისა და კულტურის მიხედვით, აგრეთვე წოდება „უმაღლესი კლასის ოსტატი“ და „პირველი კლასის ოსტატი“ ცალკეული მუშაკებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მაღალ ხარისხს.

დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეიმუშაოს და 1968 წლის 1 იანვრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროექტი დებულებისა უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომების შესახებ, აგრეთვე „უმაღლესი კლასის ოსტატის“ და „პირველი კლასის ოსტატის“ წოდებათა შესახებ, რათა შემდგომ შეთანხმებულ იქნას ეს დებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, განისაზღვროს წესი და პირობები დიპლომების მიცემისა რესპუბლიკის ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის და წოდებათა მინიჭებისა მუშაკებისათვის, აგრეთვე მოქმედი სატარიფო განაკვეთების და ფასდების დანამატების ოდენობის შესახებ, რაც დაუწესდებათ იმ მუშაკებს, რომლებსაც აღნიშნული წოდება მიენიჭათ.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყონ 1967 წელს ქ. თბილისში 200-ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გადაცემა საექსპლუატაციოდ.

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 1968 წლის 1 იანვრამდე შეადგინოს ქ. ქუთაისში 200-ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ დამატებითი დაფინანსება 150 ათასი მანეთის ოდენობით, აღნიშნული მშენებლობის დასაწყებად, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დაიწყოს 1968 წლის მეორე კვარტალიდან მისი მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს 1967-1970 წლებში 3200 კვალიფიციური მუშის მომზადება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მოაწყოს 1968 წელს ქალაქ თბილისსა და ქუთაისში სასწავლო-საწარმოო კომბინატები თვითეული 100 კაცისათვის, კვალიფიციური მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მასობრივი პროფესიების მუშების მოსამზადებლად.

თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გამოყონ ამ მიზნებისათვის შესაბამისი სადგომები.

9. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მიიღოს ზომები, რათა გაუმჯობესდეს რეკლამა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, რასაც მოსახლეობას უწევენ ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოები, უფრო ფართოდ გამოიყენოს ამ მიზნებისათვის პრესა, რადიო, ტელევიზია და რეკლამის სხვა საშუალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეკვეთების თანახმად, მოკლემეტრაჟიანი სარეკლამო ფილმების, სატელევიზიო გადაცემებისა და რადიოგადაცემების მომზადება, ცნობარებისა და ბროშურების გამოცემა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოწინავე კოლექტივების მიღწევებისა და იმ უპირატესობათა შესახებ, რასაც მოსახლეობას ანიჭებს საყოფაცხოვრებო მომსახურებით სარგებლობა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გამოარკვიონ, თუ რატომ არ შესრულდა თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საწარმოთა მშენებლობის დავალებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ოქტომბრის № 1077 და 1965 წლის 20 მაისის № 400 დადგენილებებით, და ერთი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ:

ა) გააუმჯობესოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მომარაგება მასალებით, ინსტრუმენტით, ფურნიტურით, სათადარიგო ნაწილებითა და დეტალებით, მიიღოს საჭირო ზომები, რათა გაუმჯობესდეს ამ საქონლით ვაჭრობა ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სპეციალური მაღაზიების მეშვეობით;

ბ) შემოიღოს საქქსოვილვაჭრობის ბაზებში ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს იმის უფლებას, რომ უპირატესობრივად შეარჩიონ და შეცვალონ ქსოვილები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ატელიეებისა და სხვა საწარმოთა საჭიროებისათვის (ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა), მათ შორის იმპორტის წესით შემოსული ქსოვილები, აღნიშნული საწარმოებისათვის გამოყოფილი ფონდების (მანეთობით) ფარგლებში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დაუსაქონლოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამამულო და საიმპორტო რბილი და მაგარი ტყავსაქონლის ფონდები ისეთი ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვისათვის, რომელიც ხარისხის მხრივ არ ჩამოუვარდება ფაბრიკაში შეკერილ სამოდელო ფეხსაცმელს, აგრეთვე მაღალხარისხოვანი სამამულო და საიმპორტო ნართის ფონდები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ სათადარიგო ნაწილების, ქიმიკატების, ნედლეულის, ინსტრუმენტების, მოწყობილობის, საშენი და სხვა მასალების ფონდების სრულად და პირველ რიგში დასაქონლება, რომლებიც გამოყოფილია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მაქსიმალური რაოდენობით გამოუყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საშენი მასალები იმ ობიექტებისათვის, რომლებიც ბანკის სესხით შენდება.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს განახორციელოს იმ სამუშაოთა კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა, რომლებიც წარმოებს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად.

14. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილების თანახმად:

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ., 1965 წ. № 19-20, მუხ. 155).

ამასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1968 წლის 1 იანვრამდე წარმოადგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის აღნიშნული დებულების შეფარდების შესახებ, მათ თავისებურებათა გათვალისწინებით;

— 1968 წლის 1 იანვრიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მთელი მოგება, რომლებშიაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა შეადგენს პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების საერთო მოცულობის 85 და მეტ პროცენტს, აგრეთვე ის მოგება, რაც მიღებულია იმ საყოფაცხოვრებო მომსახურებისაგან, რომელიც მოსახლეობას გაუწიეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, — მოხმარდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი საწარმოების გაფართოებას, ახალი საწარმოების მშენებლობას, მათთვის საჭირო მოწყობილობის შეძენას კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგმების გადამეტებით და მათი საბრუნავი სახსრების შევსებას (გარდა იმ მოგებისა, რომელიც გადაირიცხება საწარმოს ფონდში, აგრეთვე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაკებისათვის საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალათ ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების დაგროვებათა გამოყენების წესის შესახებ;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება ენიჭებათ გააერთიანონ სახსრები, რომლებიც დადგენილი წესით ხმარდება ყოფაცხოვრების სამსახურის მშენებლობას დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე (ბანკის კრედიტების ჩათვლით) და ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი იმ წესითა და პირობების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 აგვისტოს № 690 დადგენილებით;

— პენსიონერებს, რომლებიც იღებენ მოხუცებულობის პენსიას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში მუშაობენ შეკვეთების მიმღებად, ძიებად, დამლაგებლებად, დანიშნული პენსია, როგორც გამონაკლისი, მიეცემათ სრული რაოდენობით იმ გასამრჯელოს გაუთვალისწინებლად, რასაც ისინი აღნიშნულ სამუშაოზე იღებენ;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და ვაჭრობის საწარმოებს, რომლებიც მოსახლეობას ქირით აძლევენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო საჭიროების საგნებს, ნება ეძლევათ შეიძინონ საცალო სავაჭრო ქსელში საქონელი ამ მიზნებისათვის უხაღდო ანგარიშსწორების წესით, წვრილი საბითუმო ვაჭრობის ლიმიტში ჩაუთვლელად, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს — შეიტანონ გაქირავების პუნქტებისათვის მიყიდული აღნიშნული საქონლის მოცულობა საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში; დაწესებულია, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის საწარმოების ამონაგები, რაც მიღებულია მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სამეურნეო საჭიროების საგნების გაქირავებისაგან, არ შეიტანება ამ საწარმოთა საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს ნება დაერთო, როგორც გამონაკლისი, აძლიოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს კრედიტი გასაქირავებელი საგნების შესაძენად (საკუთარი საბრუნავი სახსრების მონაწილეობის გარეშე) ორი წლის ვადით იმ ანგარიშით, რომ დაიფაროს იგი საწარმოთა მოგების ხარჯზე;

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით:

ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებში (უბნებზე), რომლებიც ასრულებენ მოსახლეობის შეკვეთებს სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავის, ბეწვეულის, ტრიკოტაჟის, საფეიქრო ნაწარმის, თავსამკაულის, გალანტერიისა და ლითონის ნაკეთობათა რემონტისა და ინდივიდუალური დამზადების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძანქანებისა და ხელსაწყოების და მუსიკალური ინსტრუმენტების რემონტზე, შემოიღონ მუშათა შრომის ანაზღაურება იმ სატარიფო განაკვეთებისა და თვიური სარგოს საფუძველზე, რომლებიც ანალოგიური საწარმოებისა და პროფესიების მუშებისათვის მოქმედებენ სსრ კავშირის სამინისტროების სამრეწველო საწარმოებში;

დაუწესონ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომლებიც დასაქმებული არიან ლითონის ნაკეთობათა შემკეთებელ და დამამზადებელ საწარმოებში (უბნებზე), აგრეთვე საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანებისა და ხელსაწყოების და მუსიკალური ინსტრუმენტების შემკეთებელ საწარმოებში, სადაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა შეადგენს სულ ცოტა 60 პროცენტს პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების საერთო მოცულობაში, — თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია ანალოგიური წარმოებებისა და თანამდებობებისათვის სსრ კავშირის საძინისტროების სამრეწველო საწარმოებში.

შრომის ანაზღაურების აღნიშნული პირობები შეიძლება შემოღებულ იქნას 1968 წლის 1 იანვრიდან ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში:

— დაწესებულია, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, რომლებიც ასრულებენ სამრეწველო სახის სამუშაოებს (სამრეცხაოების ჩათვლით) და რომლებშიაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა სამუშაოთა და მომსახურების საერთო მოცულობაში აღემატება 60 პროცენტს, თუ მათ გადაჭარბებით შეასრულეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა, ამ საწარმოების მუშაკებისათვის ხელფასის მისაცემად საჭირო სახსრებს მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის გადამეტებით ერთი პროცენტის რაოდენობით, ხოლო იმ საწარმოებს, რომლებშიაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა 60 პროცენტზე ნაკლებია, — ხელფასის ფონდის 0,9 პროცენტის რაოდენობით თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის.

აღნიშნული სახსრები ხელფასის გასაცემად გაიცემა კვარტალური გეგმის შესრულების მიხედვით;

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალათ გაითვალისწინონ უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების წლიური გეგმებით საჭირო რაოდენობის სპეციალისტთა მომზადება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე გაითვალისწინონ უმაღლეს და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების დროს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების უფრო სრულად უზრუნველყოფა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებით.

დაწესებულია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც სამუშაოდ იგზავნებიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 30 აგვისტოს № 1863 დადგენილების 29-ე პუნქტით იმ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, რომლებიც სამუშაოდ იგზა-

ვნებიან განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, სასამართ ლოსა და პროკურატურის დაწესებულებებში.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად სამი თვის ვადაში განსაზღვროს იმ უმაღლესი სასწავლებლების ნუსხა, რომლებშიაც 1967 წლიდან უნდა განხორციელდეს სტუდენტთა მომზადება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალობებში;

— იმ პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებზე, რომლებიც კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ბაზაზე, გავრცელებულია მატერიალური უზრუნველყოფის პირობები, გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 აგვისტოს № 681 დადგენილების მე-6 პუნქტით იმ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის, რომლებიც იმყოფებიან სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა ბაზაზე, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს დაევალათ დაადგინონ წესი იმ მოწაფეთა შრომის ანაზღაურებისა, რომლებიც სწავლებას გადიან უშუალოდ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა ამ მოწაფეთა სწავლებისათვის;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებზე გავრცელებულია კვალიფიკაციის ამაღლების წესი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის;

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებს, რომელთა საწარმოები ამზადებენ საყოფაცხოვრებო მანქანებსა და ხელსაწყოებს, დაევალათ:

— უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების სათადარიგო ნაწილების წარმოება და მიწოდება, მოკავშირე რესპუბლიკების განაცხადებით, იმ ნომენკლატურის მიხედვით და მოცულობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოთხოვნილებანი;

— აძლიონ მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია იმ დროიდან არა უგვიანეს სამი თვისა, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო ქსელი მიიღებდეს ახალი ნაწარმის საყოფაცხოვრებო მანქანებსა და ხელსაწყოებს, აგრეთვე შეცვლილი სქემებით ან კონსტრუქციებით;

— გამოსცენ 1967-1968 წლებში საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების სათადარიგო ნაწილების ილუსტრირებული კატალოგები ისეთი ტირაჟით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს 1967-1968 წლებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დონის ამაღლებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში;

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზს“ წინადადება მიეცათ დაადგინონ, 1968 წლიდან დაწყებული, წესი, რომლის დროსაც მთელი საიმპორტო ქსოვილები, სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომლებიც დამზადებულია სინთეზური ბოჭკოსა და პოლიმერული მასალების გამოყენებით, უზრუნველყოფილი იქნება გამოსაცნობი მარკირებით.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და ყველა მუშაკი, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი დიდი მოვალეობა საბჭოთა ადამიანების წინაშე, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 ნოემბერი, № 690.

2 ვაგონების გადმოტვირთვისა და რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის გატანის გაძლიერების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 8 დეკემბრის № 1115 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ვაგონების გადმოტვირთვა და ტვირთის გატანა რკინიგზის სადგურებიდან, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველოს მიიღონ გადაუდებელი ზომები, რათა ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ დროულად გადმოტვირთონ ვაგონები, გაიტანონ ტვირთი საავტომობილო ტრანსპორტით რკინიგზის სადგურებიდან კვირის ყოველ დღეს, გამოსასვლელი და უქმე დღეების ჩათვლით. თვითეულმა საწარმომ და ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რკინიგზის ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის შეუფერხებელ სადღეღამისო მუშაობას როგორც დღის, ისე ღამის საათებში, თანაბრად თვის განმავლობაში.

2. სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების ყურადღება მიექცეს იმას, რომ ამჟამად, როდესაც რკინიგზის სავაგონო პარკის რესურსები განსაზღვრულია, შემდეგში ძნელი შესავსები იქნება ის დანაკარგი, რაც დაშვებულია დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს ცალკეულ დღეებში.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მიიღოს გადაუდებელი ზომები რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად, ამასთან ფართოდ ისარგებლოს მოწინავე კოლექტივების გამოცდილებით რეზერვების გამოყენების დარგში, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ტვირთის გადაზიდვაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 დეკემბერი, № 744.

3 რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლიობის დაწესების შესახებ

განსახორციელებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 სექტემბრის № 882 დადგენილებისა „სამინისტროების, უწყებების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკთა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 ოქტომბრის № 613 დადგენილებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს 1968 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლიობა: ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 8 საათი და 15 წუთი, ხოლო პარასკევს — 8 საათი, კვირაში ორი გამოსასვლელი დღით — შაბათი და კვირა.

დაწესდეს, რომ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სამუშაო დღე იწყება დილის 9 საათზე და მთავრდება 18 საათზე (პარასკევობით 17 საათსა და 45 წუთზე), 45 წუთიანი შესვენებით.

წინადადება მიეცეთ რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დააწესონ სამუშაო დღის განრიგი ამ დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 დეკემბერი, № 751.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

4 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის პრემიების მიცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა აძლიონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სო-

ციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშებით, პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა ზეგეგმითი მოგების ან გეგმიანი ზარალის შემცირებისაგან მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

პრემიების ოდენობა განისაზღვროს დაჯილდოების მოქმედი სკალებით, რომლებიც გამოიყენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების დროს, იმ მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც მუშაობენ მოცემულ საწარმოში და ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ვ. ლოლოგერიძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 3 ნოემბერი, № 667.

10502

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მისი გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში

ციტრუსოვანთა ნაყოფის განსაზღვრული რესურსების გამო და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ, როგორც გამონაკლისი, კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს, ვიდრე 1967 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შესრულდებოდეს, ციტრუსოვანთა ნაყოფის გატანა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მისი გაყიდვა რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში.

2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის სავაჭრო ნავსადგურებმა და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ უზრუნველყონ ამ დადგენილების განუხრელად შესრულება და არ დაუშვან ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება გადასაზიდად ღამამზადებელი ორგანიზაციების („საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს) განრიგების გარეშე.

3. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებმა მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 11 ნოემბერი, № 671.

6 მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის შესახებ, შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ამ დებულების შესაბამისად ორი კვირის ვადაში შექმნან ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 11 ნოემბერი, № 673.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 11 ნოემბრის № 673
დადგენილებით

დებულება

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია შეიქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო (ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არა აქვთ) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია შეიქმნება საზოგადოებრიობის — საბჭოს დეპუტატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სახლმმართველობების წარმომადგენელთა — ფართო მონაწილეობის საფუძველზე, თავმჯდომარის (შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ან წევრის), თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის წევრების შემადგენლობით, იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ამ კომისიას ჰქმნის.

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

3. მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია თავის მუშაობას ეწევა როგორც უშუალოდ, ისე სავაჭრო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებთან შექმნილი შესაბამისი კომისიების, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა და საწარმოთა სადუქნო და საკონტროლო-სარევიზიო კომისიების მეშვეობით.

4. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია თავის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებინებს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, დიასახლისთა, პენსიონერთა ადგილობრივ აქტივს.

5. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ამ კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

6. კომისიის მუშაობა ტარდება კვარტალური (წლიური) გეგმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია კომისიის სხდომაზე.

7. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის სხდომებს მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც. კომისიის სხდომაზე ყველა საკითხი წყდება ხმების უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალო უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

8. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის მუშაობას, ამოწმებს კომისიის მუშაობის გეგმის შესრულებას, საჭიროების მიხედვით უკავშირდება კომისიის სახელით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამყარებს მუდმივ კავშირს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან.

ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის ამოცანები და უფლება-მოვალეობანი

9. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი იმისადმი, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულმა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დაიცვან სამრეწველო და სასურსათო საქონლის დაწესებული საცალო ფასები.

10. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად შეამოწმებს:

ა) იცავენ თუ არა საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაწესებულ ფასებს, ფასნამატს (ფასდაკლებას) და ვაჭრობის წესებს;

ბ) რამდენად იცავენ სამრეწველო საწარმოები საცალო ფასების აღნიშვნის დადგენილ წესს და კონტროლს უწევენ თუ არა სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები საქონელზე ფასების აღნიშვნას და მათს სისწორეს:

სახალხო მოხმარების უკლებლივ ყველა საქონელზე, რომელსაც უშვებს მრეწველობა ტარით ან შეფუთვით;

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სამეურნეო საჭიროების ყველა იმ საქონლის ტექნიკურ პასპორტებში, რომელთა რეალიზაცია ასეთი პასპორტებით ხდება;

უტარო და შეუფუთავ საქონელზე, დადგენილი წესით დამტკიცებული ნომენკლატურის მიხედვით;

გ) არსებობს თუ არა ფასების იარლიყები, საფასარები და სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასებთან მყიდველთა გაცნობის სხვა საშუალებანი და რამდენად სწორადაა აღნიშნული მათში საცალო ფასები;

დ) როგორ მდგომარეობაშია საზომ-საწონი ხელსაწყოები, დოზატორები, დასაფასებელი ხელსაწყოები, უზრუნველყოფილია თუ არა საქონლის მიცემა მომხმარებლებისათვის სრული ზომითა და წონით;

ე) იცავენ თუ არა მიმწოდებელი საწარმოები დადგენილ წესს, რომლის მიხედვით უნდა აღინიშნოს სასაქონლო (საგადამხედლო) დოკუმენტებში ფასების დასაბუთება, და იყენებენ თუ არა სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები მათთვის მინიჭებულ უფლებას — უარი განაცხადონ მიმწოდებელ საწარმოთა

ანგარიშების ან სხვა სასაქონლო (საგადამხდელო) დოკუმენტების განაღდებაზე, თუ მათში არ არის აღნიშნული გაგზავნილი (გაცემული) საქონლის ფასების დასაბუთება;

ვ) მოიპოვება თუ არა სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საცალო ფასების საჭირო პრეისკურანტები, აგრეთვე უზრუნველყოფილი არიან თუ არა ისინი პრეისკურანტებით ან სხვა დოკუმენტებით, რომლებიც გათვალისწინებულია საპრეისკურანტო მეურნეობის წარმოების შესახებ გამოცემული ინსტრუქციით;

ზ) დაცულია თუ არა ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დაწესებული პერიოდულობა და მათი ჩატარების წესები;

თ) შემოღებულია თუ არა ვაჭრობის საწარმოებში საჩივართა და წინადადებათა წიგნები, რა მდგომარეობაშია მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებათა განხილვა და რამდენად ეფექტიანია მათ გამო მიღებული ზომები.

11. ფასების და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) შეიტანოს საჭირო შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად იმ შემოწმების შედეგები, რაც ჩატარდა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იცავენ სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები დაწესებულ ფასებსა და ვაჭრობის წესებს; შეიტანოს წინადადებანი, რომ მოსმენილ იქნას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე შემოწმებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებანი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სათათბირო ხმის უფლებით აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც შეტანილია კომისიის მიერ ან შედიან კომისიის გამგებლობაში;

გ) გაეცნოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების დირექტივებსა და განკარგულებებს, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს კომისიის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე;

დ) გაეცნოს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად;

ე) მიიღოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია კომისიის მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან;

ვ) მოისმინოს კომისიის სხდომაზე სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელების ინფორმაცია კომისიის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე;

ზ) მოიწვიოს სპეციალისტები იმ საკითხებზე კონსულტაციისათვის, რომ-
ლებიც კომისიის კომპეტენციაში შედიან;

თ) შეიტანოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ზემდგომი ორგანოების განსახილველად წინადადებანი ორგანიზაციებისა და საწარმოების იმ ხელმძღვანელთა პასუხისგებაში ძიცემის შესახებ, რომლებიც არ იღებენ ზომებს იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ფასების დარღვევა, მყიდველთა მოტყუება ანგარიშში და სხვა ბოროტმოქმედებანი.

12. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიას შეუძლია გამოიყენოს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დარღვევები ან ბოროტმოქმედება დაუშვეს, ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) გადასცეს საქმეები ამხანაგურ სასამართლოს;

ბ) გაუგზავნოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას მასალები ვაჭრობის ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკებზე ჯარიმის დასადებად დაწესებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, თუ ეს დარღვევა არ შეიცავს ისეთი მოქმედების ნიშნებს, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება;

გ) წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს ან სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციის ორგანოს წინადადებანი, რომ გადაირიცხოს ბიუჯეტის შემოსავალში საცალო ფასების დარღვევის შედეგად ზედმეტად მიღებული ამონაგები;

დ) გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად და დააყენოს საკითხი სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე, რომ გადააყენონ თანამდებობიდან დადგენილი წესით სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკები, რომლებმაც დაუშვეს საცალო ფასების დარღვევა, საქონლის ხარისხიანობის შეცვლა, მყიდველთა მოტყუება ზომაში, წონასა და ანგარიშში და სხვა ბოროტმოქმედებანი.

13. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიას შეუძლია საჭირო შემთხვევებში შეიტანოს წინადადებანი ზემდგომ სავაჭრო ორგანიზაციაში საქონლის ნაშთების მოხსნის შესახებ ვაჭრობის იმ საწარმოებში, რომლებშიაც აღმოჩენილია ფასების დარღვევის, მყიდველთა ზომასა და წონაში მოტყუების ფაქტები, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამოღებულ იქნას არასწორი ან ისეთი საწონი და საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც დამღა არა აქვთ.

14. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისია ადგენს თავისი სხდომების ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

7 თბილისის მეტროპოლიტენისათვის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელის მიკუთვნების შესახებ

დიდი დღესასწაულის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეკუთვნოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელი თბილისის მეტროპოლიტენს და ამიერიდან ეწოდოს მას დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის თბილისის მეტროპოლიტენი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 5 ნოემბერი, № 679.

8 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მარტის № 147 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი საქონლის გამოცვლის წესების განაყოფს — „იმ სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესი, რომლისთვისაც დადგენილია სამსახურის საგარანტიო ვადები“ — დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„7. ელექტრონულ-სხივური მილაკების (კინესკოპების) გამოცვლისას, რომლებსაც აქვთ სამსახურის საგარანტიო ვადა ერთ წლამდე, საგარანტიო ვადის დასაწყისი გამოიანგარიშება გამოცვლის დღიდან.

ისეთი ელექტრონულ-სხივური მილაკის (კინესკოპის) გამოცვლისას, რომელსაც აქვს სამსახურის საგარანტიო ვადა ერთ წელზე მეტი, საგარანტიო ვადის გამოანგარიშება იწარმოებს შემდეგი წესით:

— თუ კინესკოპი გამოვიდა მწყობრიდან ექსპლუატაციის პირველი წლის განმავლობაში, სამსახურის საგარანტიო ვადა გამოიანგარიშება გამოცვლის დროიდან;

— თუ კინესკოპი გაშოვიდა მწყობრიდან ექსპლუატაციის მეორე წელს, მისი გამოცვლის დროს მიეცემა გარანტია ერთი წლის ვადით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 17 ნოემბერი, № 682.

9 საკვები ბალახების თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასების დაწესების შესახებ

საკვები ბალახების თესლის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, 1967 წლის მოსავლიდან დაწყებული, საკვები ბალახების თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასები დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 17 ნოემბერი, № 683.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 17 ნოემბრის № 683
დადგენილების დანართი

საკვები ბალახების

პირველი კლასის თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასები

(ცენტნერი მანეთობით)

კულტურები	შესასყიდი ფასები	გასაცემი ფასები
1. თეთრი სამყურა	350	370
2. წითელი სამყურა	300	315
3. ესპარცეტი ამიერკავკასიის	50	55
4. იონჯა (ლურჯი, ლურჯი ჰიბრიდული, ყვითელი ჰიბრიდული, ჭრელი)	300	315
5. იონჯა ცისფერი	380	390
6. ტიმოთელა	160	170
7. კაპუეტა	160	170
8. მდელოს წივანა	160	170
9. უფხოშვრიელა	120	125
10. სწორი შვრიელა	160	170
11. ჯანგა უფისური	120	125
12. კოინდარი საძოვრის	200	215
13. კოინდარი მრავალსათიბი	180	190
14. მელაკუდა	200	215
15. სათითუა	180	190
16. მდელოს თივაქასრა	350	370
17. თეთრი ნამიკრეფია	350	370
18. კურდღლის ფრჩხილა	300	315
19. თეთრი ძიძო	150	160
20. ყვითელი ძიძო	125	130
21. სუდანის ბალახი	48	53
22. ცერცველა	25	27
23. ცულისპირა	40	45

შენიშვნა: შესასყიდი და გასაცემი ფასები დაწესებულია თესვითი სტანდარტის პირველი კლასის, ხოლო ჯიშობრივი სიწმინდით პირველი კატეგორიის თესლზე. ამ ფასებთან შედარებით, მეორე-მესამე კლასის და მეორე-მესამე კატეგორიის თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასები შემცირდება: პირველი კლასის ნორმებიდან სიწმინდის დაკლებული თვითეული პროცენტისათვის — 1,5 პროცენტით გაღივების დაკლებული თვითეული პროცენტისათვის — 1 პროცენტით და ჯიშობრივი სიწმინდის დაკლებული თვითეული პროცენტისათვის — 1,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

10 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დროებითი ნორმატივებისა და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმების დამტკიცების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 795 დადგენილებისა „საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებული დროებითი ნორმატივები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხებისა და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმები, დანართის თანახმად.

2. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეიმუშაოს და დაამტკიცოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, დაწესებული დროებითი ნორმატივების და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმების ფარგლებში ჯგუფური ნორმატივები მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების, აგრეთვე წარმოების განვითარების ფონდის შესაქმნელად და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმები იმ საწარმოთა ჯგუფებისათვის, რომლებსაც დაახლოებით აქვთ მუშაობის ერთნაირი ტექნიკურ-ეკონომიური და ბუნებრივი პირობები.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ 1968 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს ყველა ქვესაუწყებო ავტოსატრანსპორტო საწარმოს გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 17 ნოემბერი, № 685.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 17 ნოემბრის № 685
დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროებითი ნორმატივები

შოგების ანარიცხებისა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში და საწარმოო ფონდების საფასურის ნორმები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში

	მატერიალური წახალისების ფონდი (საწარმოს მთელი პერსონალის ხელფასის ფონდის %-ად)			სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა და ს ბინაო მშენებლობის ფონდი (საწარმოს მთელი პერსონალის ხელფასის ფონდის			წარმოების განვითარების ფონდი (ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების %-ად)			საწ. რმოო ფონდების საფასურის ნორმები (საწარმოო ფონდების ღირებულების %-ად)
	შემოსავლის ზრდის %-საათვის	მოგების ზრდის %-საათვის	საანგარიშო შეფარდებული რენტაბელობის %-საათვის	შემოსავლის ზრდის %-საათვის	მოგების ზრდის %-საათვის	საანგარიშო შეფარდებული რენტაბელობის %-საათვის	შემოსავლის ზრდის %-საათვის	მოგების ზრდის %-საათვის	საანგარიშო შეფარდებული რენტაბელობის %-საათვის	
დაშტკიცებული გეგმით	0,292	0 469	0,169	0.154	0.242	0.088	0.019	0.030	0 011	6.0
დაზუსტებული გეგმით	0,201	0 092	0.148	0,106	0.048	0.077	0,013	0,006	0,010	6,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 სექტემბრის № 1434 დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 789 დადგენილებისა „საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტით ფოსტის გადაზიდვის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 სექტემბრის № 1434 დადგენილება „სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს სატრანსპორტო საშუალებებით სარაიონთაშორისო ტრაქტებსა და მისასვლელ ლიანდაგებზე ფოსტის გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 17 ნოემბერი, № 686.

12 ადგილობრივი საშენი მასალების საცალო ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ადგილობრივი საშენი მასალების საცალო ფასები, შემუშავებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის მიერ.

2. დაწესდეს, რომ საბაზრო ფონდები გამოიყოფა თიხის აგურზე, რომელსაც აწარმოებენ მხოლოდ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 18 ივნისის № 472 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 18 ნოემბერი, № 695.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 18 ნოემბრის № 695
დადგენილების დანართი

ადგილობრივი საშენი მასალების საცალო ფასები

		ზომის ერთეული	საცალო ფასი მან. და კაპ. ზომის ერთეულში
აგური თიხისა მარკა	150	ათასი ც.	45—00
„ „	100	„	42—70
„ „	75	„	40—50
„ „	50	„	36—00
აგური სილიკატური მარკა	150	„	37—20
„ „	100	„	34—20
„ „	75	„	31—40
კრამიტი თიხისა		„	100—40
„ ცემენტ-ქვიშისა		„	77—60
კირი სამშენებლო I ხარისხისა		ტონა	15—35
„ II ხარისხისა		„	14 - 15
„ III ხარისხისა		„	12—85
წიდაბეტონის საკედლე ბლოკები	მ-75	კუბ. მ.	15—60
„ „	მ-50	„	14—65
„ „	მ-35	„	13—70
ცემენტ-ქვიშის ფილები I ხარისხისა		კვ. მ.	3—20
„ „ II ხარისხისა		„	2—70

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

13 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა საცხოვრებელი სახლების და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესებას, მათი სამსახურის ვადის გადიდებას და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონის ამაღლებას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს საბინაო ფონდის ექსპლუატაცია და ამაღლდეს მისი კეთილმოწყობა, შემცირდეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის შენახვის ხარჯები და გადიდდეს მისი რენტაბელობა. ამ მიზნით:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საბინაო ფონდის ტექნიკური და სანიტარული მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის იმ ანგარიშით, რომ უმოკლეს ვადაში დამყარდეს სათანადო წესრიგი საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში;

— განამტკიცონ სახლმმართველობანი, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და საბინაო სამმართველოები გამოცდილი და კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურის ორგანიზაციის მაღალი დონე და გააუმჯობესონ მოსახლეობის კომუნალური მომსახურება;

— გააძლიერონ სახლმმართველობების, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისა და საბინაო სამმართველოების ხელმძღვანელთა როლი და პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბინაო ფონდის წესიერ მდგომარეობაში შენახვისა და მოვლა-პატრონობისათვის, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებისა და საბინაო მეურნეობის რენტაბელობის ამაღლებისათვის.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა აიყვანონ 1971 წლისათვის (ახალი მშენებლობის გათვალისწინებით) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქალაქო საბინაო ფონდის გაწყობა წყალსადენით — 82 პროცენტამდე, კანალიზაციით — 81 პროცენტამდე, ცენტრალური გათბობით — 72 პროცენტამდე, აბაზანებითა და საშხაპეებით — 69 პროცენტამდე, დანართის თანახმად.[1])

[1]) დანართი არ მოიყვანება.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ 1968-1969 წლებში საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, პირველ რიგში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, ამასთან უზრუნველყონ საბინაო ფონდის ექსპლუატაციის მთელი ხარჯების დაფარვა (გარდა კაპიტალური რემონტის ხარჯებისა) საკუთარი შემოსავლის ანგარიშში. იმ შემთხვევებში, როდესაც საბინაო ფონდის ექსპლუატაციის მთელი ხარჯების დაფარვის შემდეგ შეიქმნება სახსრების თავისუფალი ნაშთი, იგი მოხმარდება სტიმულირების ფონდების შექმნას, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდას და საბინაო მეურნეობის ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს;

საბინაო მეურნეობის ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის დაფინანსება განახორციელონ გეგმიანი წესით არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის ანარიცხების, საბინაო ორგანიზაციათა სახსრების თავისუფალი ნაშთის, სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სახსრების ხარჯზე, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან საცხოვრებელი სახლები.

4. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო ანგარიში საბინაო მეურნეობაში და გაუდიდდეთ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს საკუთარი სახსრები, რომლებიც უნდა მოხმარდეს საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტს:

ა) გადაეცეს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ბალანსებიდან შესაბამისი კომუნალური საწარმოების ბალანსებზე წყალსადენის, საკანალიზაციო, გაზის, სათბოფიკაციო და ელექტროქსელები და მოწყობილობანი, რომლებიც მდებარეობენ შენობების გარეთ, იმ ანგარიშით, რომ მათი ექსპლუატაციის მთელი ხარჯები გაწეულ იქნას აღნიშნული საწარმოების ანგარიშში;

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ, „საქმთავარენერგოსთან“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა გადაეცეს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ბალანსებიდან შესაბამისი კომუნალური საწარმოების ბალანსებზე შენობის გარეთ მდებარე წყალსადენის, საკანალიზაციო, გაზის, სათბოფიკაციო და ელექტროქსელები და მოწყობილობანი;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1968 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქმთავარენერგოსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად, პროექტი ინსტრუქციისა იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა აუნაზღაურონ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანოებს შენობებს შიგნით არსებული წყალსადენების, საკანალიზაციო, სათბოფიკაციო და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საწარმოებმა, რომლებიც შემოსავალს იღებენ ამ ქსელების ექსპლუატაციისაგან, და წარმოუდგინონ ეს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ გადასინჯონ სანიტარული დასუფთავების, სახლის მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და იმ სხვა მომსახურების ფასები და ტარიფები, რაც საბინაო-კომუნალურ ორგანიზაციებს ეწევა, მომსახურების თვითღირებულებისა და რენტაბელობის საფუძველზე, არა უმეტეს 5 პროცენტისა, აგრეთვე განიხილონ საკითხი, რომ განთავისუფლდნენ სახლმმართველობანი და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები ქუჩების სავალი ნაწილის, სანაპიროებისა და სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიების დასუფთავებისაგან, და 1967 წლის 20 დეკემბრამდე წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ განსაზღვროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად 1968 წლისათვის ქუჩების სავალი ნაწილის, სანაპიროებისა და სხვა საერთო-საქალაქო ტერიტორიების დასუფთავების ხარჯების ოდენობა, გამოძებნოს დაფარვის წყაროები და 1967 წლის 20 დეკემბრამდე წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1968 წლის 1 იანვრიდან პუნქტი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 19 აგვისტოს № 1270 დადგენილებისა;

დ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ღონისძიებანი ქვესაუწყებო საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებისა და მათი რენტაბელობის ამაღლებისათვის, რისთვისაც უფრო რაციონალურად გამოიყენონ არასაცხოვრებელი სადგომები, სწორად გადაანდევინონ ბინისა და საიჯარო ქირა, მოაწესრიგონ იმ მომსახურების ტარიფები და ანგარიშსწორება, რასაც საბინაო-კომუნალურ მეურნეობას უწევენ სხვა ორგანიზაციები, აღმოფხვრან ზედმეტობა ადმინისტრაციულ-სამმართველო და მომსახურე პერსონალის შენახვის სახსრების ხარჯვაში, შემდგომ გაამსხვილონ სახლმმართველობანი, ეფექტიანად ხარჯონ ის სახსრები, რომლებიც გამოიყოფა საექსპლუატაციო და სარემონტო საჭიროებისათვის, სააღრიცხვო სამუშაოთა მექანიზაციისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ე) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატები და მომსახურე პერსონალის ნორმატივები საბინაო-სასასტუმრო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

5. ვინაიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო საცხოვრებელი სახლების სათანადო წესრიგში შენახვას და მათი ხანგრძლიობის გადიდებას:

ა) დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს განახორციელონ მათს გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტის რეგულარულად და უფრო სრულად ჩატარება, გააუმჯობესონ სარემონტო სამუშაოთა ორგანიზაცია და აამაღლონ მათი მექანიზაციის დონე, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შემცირდეს მიმდინარე რემონტის ხარისხის გაუმჯობესების ვადები და მისი ღირებულება;

ბ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1968 წელს საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტის სახელოსნოების მოწყობა მსხვილ სახლმმართველობებთან ან სახლმმართველობათა ჯგუფებისათვის.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცოს ამ სახელოსნოებისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებათა, მოწყობილობისა, ინვენტარისა და ინსტრუმენტების სავალდებულო კომპლექტი და 1967 წლის 20 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამზადდეს ისინი რესპუბლიკის საწარმოებში საჭირო რაოდენობით;

გ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომარაგების მთავარ სამმართველოსთან ერთად, 1967 წლის 20 დეკემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ:

— შეიქმნას 1968 წელს ქალაქების საბინაო სამმართველოებთან მექანიზმებისა და მოწყობილობის გაქირავების ბაზები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებების და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტისა და მომსახურებისათვის;

— მოეწყოს 1968 წლიდან ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში სათადარიგო ნაწილებისა და წვრილი ინვენტარის მიყიდვა უნაღდო ანგარიშსწორების წესით სახლმმართველობებისა (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისა) და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის;

— მოაწყოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, აგრეთვე სახლმმართველობებისა და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ძალებით ბინების რემონტი ბინების დამქირავებელთა განაცხადებით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დააზუსტოს 1968 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით საბინაო-კომუნალური მეურნეობის სარემონტო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის მასალების, მოწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის მოქმედი დროებითი ნორმები და გამოყონ მასალები და მოწყობილობა ამ მიზნებისათვის, აღნიშნული ნორმების შესაბამისად.

7. საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა ხარისხის ამაღლების მიზნით:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს ბიუჯეტის პროექტებით სახსრების გამოყოფა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის იმ თანხების გადამეტებით, რომლებიც დაწესდება საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა ნორმებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 სექტემბრის № 802 დადგენილებით, საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაამთავრონ 1967-1970 წლებში სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო-ტექნიკური ბაზის შექმნა და აღჭურვონ ისინი საჭირო მექანიზმებით, ტრანსპორტითა და მოწყობილობით, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტები და კაპიტალური რემონტის სახსრების ანარიცხები, რომლებიც განკუთვნილია სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზების შექმნისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მოგება. გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 თებერვლის № 73 დადგენილების მე-6 პუნქტი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებზე;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებით მასალების, მექანიზმების, მოწყობილობისა და ტრანსპორტის გამოყოფა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზების მშენებლობისათვის;

დ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა შექმნან 1967-1969 წლებში ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივი სამანევრო საბინაო ფონდი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის გეგმების შესრულებას.

სამანევრო საცხოვრებელი ფონდის შესაქმნელად განკუთვნილი სახლების მშენებლობა განხორციელდეს იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) ჩაატარონ 1967-1968 წლებში საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების ძალებით საცხოვრებელი ფონდის ტექნიკური პასპორტიზაცია და პასპორტიზაციის მონაცემების საფუძველზე დაამტკიცონ საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის 1968-1970 წლების გეგმები.

საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისას განხორციელდეს იმის სამუშაოები, რომ დიდ ძველ კომუნალურ ბინებში არსებული სადგომები გადაკეთდეს ერთი ოჯახის ჩასასახლებლად განკუთვნილ ბინებად.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1967 წლის დამლევამდე შეიმუშაოს ინსტრუქცია საცხოვრებელი სახლების პასპორტიზაციის ჩატარების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და ფინანსთა სამინისტროებმა დაადგინონ საცხოვრებელი ფონდის პასპორტიზაციის სამუშაოთა დაფინანსების წესი;

ბ) შექმნან საჭირო შემთხვევებში საბინაო სამმართველოებთან, საქალაქო კომუნალური მეურნეობის განყოფილებებთან, კომუნალური საწარმოების კომბინატებთან და საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საბინაო ორგანოებთან ჯგუფები, რომლებიც ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევენ საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და კომუნალური მეურნეობის ობიექტებს ისე, რომ მათი შენახვის ხარჯები გაღებულ იქნას იმ თანხებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის აღნიშნული ობიექტების კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვებით.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მოამზადოს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან და საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის დაფინანსების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხი, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა დაინერგოს წესი მთლიანად ობიექტის რემონტისათვის ანგარიშსწორებისა და განხორციელდეს შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების გამსხვილება და წინადადებანი ამ საკითხზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 დეკემბრამდე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შესათანხმებლად.

10. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა:

მიიღონ ზომები, რათა უფრო ფართოდ დაინერგოს საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის უახლესი მიღწევები, მექანიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი;

— უზრუნველყონ 1971 წლისათვის გადასატუმბავი საკანალიზაციო სადგურების, მცირე სათბობი საქვაბეების, წყალსადენის სადგურების მუშაობის ავტომატიზაცია საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე ლიფტების მუშაობის მართვის ავტომატიზაცია და კომუნალური მეურნეობის ყველა ნაგებობის გეგმაზომიერი გადაყვანა ავტომატურ მართვაზე.

აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განსაზღვრონ მასალებსა, აპარატურასა, მანქანებსა და მოწყობილობაზე არსებული მოთხოვნილება და წარუდგინონ განაცხადები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს.

11. იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები და დაინერგოს ახალი ტექნიკა საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგში, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეისწავლონ საკითხი, რომ მოეწყოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია სამეურნეო ანგარიშზე და 1967 წლის 20 დეკემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს ეს ლაბორატორია დადგენილი წესით.

12. წყალსადენის საწმენდ ნაგებობათა მწარმოებლურობის ამაღლების, წყალსადენების მუშაობის მყარი რეჟიმების შექმნის, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების და ჩამდინარე წყლების გაუსნებოვნების მიზნით, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ა) იმის გამო, რომ ქალაქის წყალსადენებიდან სასმელი წყლის დიდძალ რაოდენობას ხარჯავენ სამრეწველო საწარმოები, განიხილონ საკითხი საწარმოო მიზნებისათვის სასმელი წყლის გამოყენების ეკონომიური მიზანშეწონილობის შესახებ და შეიმუშაონ 1967-1968 წლებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი წყლის მოხმარების შემცირებას სამრეწველო საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთა მიერ ქალაქის წყალსადენებიდან და ამის ხარჯზე მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების გადიდებას.

დაწესდეს 1968 წლის 1 იანვრიდან სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ქალაქის კომუნალური წყალსადენებიდან წყლის ხარჯვის ლიმიტები და უზრუნველყოფილ იქნას წყლის გაცემა მტკიცედ ამ ლიმიტების ფარგლებში. ლიმიტის გადამეტებით დახარჯულ ყოველ კუბურ მეტრ წყალში გადახდეს ფასი გადიდებული ტარიფებით.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი, რომ დაუწესდეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადიდებული ტარიფები სამეურნეო-სასმელი წყლის ლიმიტის გადამეტებით ხარჯვისათვის;

ბ) მოაწყონ 1967-1968 წლებში ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში იმ წყლის სრული აღრიცხვა, რომელიც მომხმარებლებს ეძლევათ სამეურნეო-სასმელი წყალსადენებიდან და შეიმუშაონ თვითეული ქალაქის მიხედვით (წყლის ყველა მომხმარებლისათვის საკალდებულო) მაჩვენებლები ზღვრულად დასაშვები გაჟონვისა ამ წყალსადენებში, ნაგებობათა და ქსელების ტექნიკური მდგომარეობის ნავარაუდევი გაუმჯობესების გათვალისწინებით. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს და დაამტკიცოს ეს მაჩვენებლები;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თბოენერგიის, ელექტროენერგიის, გაზისა და სასმელი წყლის დანაკარგების შემცირება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;

დ) იმ მიზნით, რომ დაიფაროს რესპუბლიკის წყალსადენებისა და საკანალიზაციო მეურნეობათა მზარდი მოთხოვნილება თხევად ქლორზე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1968 წელს ქლორსარიგებელი სადგურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და განახორციელონ ეს მშენებლობა 1969-1970 წლებში.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია:

— კომუნალური მეურნეობის საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა სრულად და ეფექტიანად გამოყენება, მათი უზრუნველყოფა მოწყობილობითა და სათადარიგო ნაწილებით, პროგრესული ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის დანერგვა მათში;

— კომუნალური მეურნეობის სარემონტო საწარმოების უფრო ეფექტიანად გამოყენება და მათი სპეციალიზაცია, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა გამოყენება სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად.

14. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად, 1967 წლის 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას, სადაც ეს აუცილებე-

ლია, ლიფტების, სპეციალიზებული საავტომობილო ტრანსპორტის, ქალაქების სანიტარული დასუფთავებისათვის საჭირო მანქანების, ელექტროტექნიკური და სატუმბო-კომპრესორული მოწყობილობის შემკეთებელი რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო სარემონტო ქარხნები და სპეციალიზებული სახელოსნოები.

15. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აწარმოონ ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის ობიექტების დაპროექტება კეთილმოწყობის ასიგნებათა ხარჯზე, დაპროექტების ლიმიტების დაუწესებლად, მუშაკთა საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მათთვის.

16. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები, რათა უახლოეს წლებში მოხდეს ბარაკების ლიკვიდაცია და მათში მცხოვრები მოსახლეობა გადასახლებულ იქნას კეთილმოწყობილ სახლებში, ამასთან გამოყონ ამ მიზნისათვის ყოველწლიურად საჭირო რაოდენობის საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

17. რესპუბლიკის ქალაქების თბომომარაგების მიზნით:

ა) ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს 1968 წლის 1 იანვრიდან სათბობი მეურნეობის სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე პერსონალის იმ საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც მას დაუწესდა 1968 წლისათვის;

ბ) მოეწყოს 1968 წელს დადგენილი წესით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის ორგანოების გამგებლობაში ქალაქების, და პირველ რიგში რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქების, თბომომარაგების სამეურნეო ანგარიშის საწარმოები (გაერთიანებული საქვაბეები თბოქსელებით), ამასთან დაეკისროთ მათ ყველა კომუნალური საქვაბისა და თბოქსელის სამეურნეო, ტექნიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი და ცენტრალური გათბობის სახლშიგა სისტემების ავარიების აღკვეთა;

გ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების შესაბამისმა აღმასკომებმა შეიმუშაონ და განახორციელონ 1968-1969 წლებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მცირე, არარენტაბელური საქვაბეების შემცირება ქალაქებსა და მუშათა დაბებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შეუერთდეს საცხოვრებელი სახლების სათბობი სისტემები თბოელექტროცენტრალის სათბობ ქსელებს, გამსხვილდეს და გადაკეთდეს საქვაბეები, განხორციელდეს მათი მართვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია;

დ) საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ სუბსაიჯარო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ქ. თბილისში კვარტალური საქვაბეების მშენებლობისათვის იმ

ანგარიშით, რომ დაწესებულ ვადებში დამთავრდეს ქალაქის თბოფიკაციის მთელი სამუშაოები;

ე) საქმთავარენერგომ მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს მშენებლობა და გადასცეს საექსპლუატაციოდ ერთი ახალი ქვაბი თბილისის თბოელექტროცენტრალში;

ვ) სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ეწევიან ისეთი ობიექტების მშენებლობას და გაფართოებას ქ. თბილისში, რომლებიც საჭიროებენ ცენტრალიზებულ გათბობას და ტექნოლოგიურ ორთქლს, გაითვალისწინონ დადგენილი წესით მათი მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით სათანადო თანხები კვარტალური საქვაბეებისა და თბოქსელების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის.

18. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან კადრებით რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობები:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმებით საჭირო რაოდენობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გამოყოფა საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მუშათა მომზადების იმ საერთო გეგმის ფარგლებში, რაც დაწესებულია რესპუბლიკისათვის, მოაწყოს საჭირო რაოდენობის კვალიფიციური მუშების, ოსტატებისა და სახლმმართველების, აგრეთვე მასობრივი პროფესიების მუშების მომზადება საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის;

გ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მოაწყოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამუშაოებზე დასაქმებულ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება.

19. ვინაიდან საქალაქო საბინაო ფონდის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვთ საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, — დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახლის კომიტეტების, საზოგადოებრივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობით, აღნიშნული სახლების დროულად შეკეთებას და სათანადოდ შენახვას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში;

— დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს სახელშეკრულებო საწყისებზე იმ მხრივ, რომ ჩატარდეს მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების რემონტი საქალაქო და რაიონული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით;

— გააფართოონ ადგილობრივი საშენი მასალების მიყიდვა მოქალაქეებისათვის საცალო ვაჭრობის სისტემის მეშვეობით საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად;

—მოაწყონ ინდივიდუალური განაშენიანების რაიონების ტერიტორიის სანიტარული დასუფთავება და კეთილმოწყობა საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ძალებით, სახლმფლობელთა შრომითი მონაწილეობით.

20. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა:

— უზრუნველყონ, 1968 წლიდან დაწყებული, ხელშეკრულებათა დადება საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებსა, საბინაო-კომუნალურ განყოფილებებსა, სახლმმართველობებსა და ბინების დამქირავებლებს შორის საცხოვრებელი სახლების დაქირავების შესახებ, რომლებშიაც გაითვალისწინონ ბინებში სარემონტო სამუშაოთა შესრულების კონკრეტული ვადები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საცხოვრებელი ოთახების და საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე რემონტი ბინებში უნდა ხორციელდებოდეს ბინების დამქირავებლების ხარჯზე, მოაწყონ ამ ხელშეკრულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება სახლის კომიტეტების მონაწილეობით;

— უფრო ფართოდ გამოიყენონ სახლის კომიტეტების მეშვეობით საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, ამხანაგური სასამართლოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებებს და სოციალისტურ თანაცხოვრების წესებს;

— უზრუნველყონ იმ კანონმდებლობის მტკიცედ დაცვა, რომელიც შეეხება მოქალაქეთა პასუხისმგებლობას სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის (ბინების, კიბის უჯრედების, ლიფტების, სანიტარულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური მოწყობილობის, კეთილმოწყობის ობიექტების და სხვ). მოვლა-პატრონობისა და წესიერ მდგომარეობაში შენახვისათვის.

21. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ სახლის კომიტეტები, საზოგადოებრივი კომისიები და აქტივი, სამეურნეო-საფინანსო გეგმების პროექტებისა და ისეთ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზანია შენობების ექსპლუატაციის გაუმჯობესება, კონტროლის განხორციელება შესასრულებელ სარემონტო სამუშაოთა ხარისხისა და ვადებისადმი, მასალების ხარჯვისა და მობინადრეთა შეჯიბრების მოწყობისადმი სანიმუშო წესრიგისა და ყოფაცხოვრების მაღალი კულტურისათვის, აგრეთვე მონაწილეობა მიიღებინონ მობინადრეებს ნებაყოფლობითს საწყისებზე ეზოებისა და სახლებთან მდებარე ნაკვეთების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებში.

22. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ახალი დებულება სახლის კომიტეტების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს მათი როლი საბინაო ფონდის მართვა-გამგებლობაში და გაფართოვდეს მათი უფლებები და წარმოუდგინოს ეს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან

შემდგომ შესათანხმებლად.

23. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილებით „საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების შესახებ“.

— დაადგინა, რომ, 1968 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახლებში არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის 80 პროცენტი რჩება საბინაო ორგანიზაციების განკარგულებაში და მოხმარდება საცხოვრებელი სახლების მართვა-გამგეობის, მათი შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებს. ამ სახსრების დანარჩენი 20 პროცენტი გამოყენებული იქნება საბინაო მეურნეობის ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის (დანახარჯების იმ საერთო თანხის ფარგლებში, რაც განისაზღვრება საამორტიზაციო ანარიცხთა დაწესებული ნორმებით);

დააწესა და შემოიღო 1968 წლიდან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტის ანარიცხების დროებითი ნორმები სახლების აღდგენითი ღირებულების 0,75-1 პროცენტის ფარგლებში;

დააწესა, რომ იმ საწყალსადენო, საკანალიზაციო, სათბოფიკაციო და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, რომლებიც შენობათა შიგნით იმყოფებიან, აანაზღაურებენ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც შემოსავალს იღებენ ამ ქსელებისა და მოწყობილობათა ექსპლუატაციისაგან;

დააწესა, რომ სახელმწიფოს საცხოვრებელ სახლებში გაზის აპარატურისა და მოწყობილობათა და გაზის ქსელების პროფილაქტიკური მომსახურება ხორციელდება შესაბამისი გაზმომმარაგებელი ორგანიზაციების ძალებით, მათი სახსრების ხარჯზე;

დააწესა, რომ 1968 წლიდან საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებსაც უკავიათ არასაცხოვრებელი სადგომები საცხოვრებელ სახლებში, გარდა საიჯარო ქირის შეტანისა და ცენტრალური გათბობის და კომუნალური მომსახურების ანაზღაურებისა დაწესებული განაკვეთების და ტარიფების მიხედვით, — მონაწილეობა უნდა მიიღონ საბინაო ფონდის მართვა-გამგეობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მთელი სახლმფლობელობისათვის საერთო ხარჯებში მათ მიერ დაკავებული სადგომების ფართობის პროპორციულად;

ნება დართო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები აქვთ, ყოველწლიურად ხარჯონ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების 10 პროცენტამდე საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომმარაგებელი კანტორების, საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად საჭირო საშენი მასალებისა და დეტალების დამამზადებელი საწარმოების ძირითადი (გარდა საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობისა) და საბრუნავი სახსრე-

ბის ორგანიზაციისა და შევსებისათვის, აგრეთვე სახლმმართველობათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, და მათთვის საჭირო სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესაძენად;

დააწესა, რომ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საჭირო შემთხვევებში გამოყოფენ მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისათვის სახსრებს იმ თანხების გადამეტებით, რაც დაწესდება საამორტიზაციო ანარიცხების ნორმებით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, საწარმოთა ფონდის, აგრეთვე სხვა ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე;

დააწესა, რომ როდესაც საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის სამუშაოები საიჯარო წესით სრულდება, მოიჯარე მოვალეა თავისი ხარჯით გამოასწოროს ის დეფექტები, რაც მისი მიზეზით დაშვებულია შესრულებულ სამუშაოებში, თუ შემკვეთმა პრეტენზიები წარადგინა შემდეგ ვადებში:

საერთო-სამშენებლო სამუშაოებისა — იმ დროიდან ერთი წლის განმავლობაში, რაც შენობები ან ნაგებობები გადაეცა საექსპლუატაციოდ;

მოწყობილობის მონტაჟისა და ელექტროტექნიკური სამუშაოებისა — იმ დროიდან 6 თვის განმავლობაში, რაც ისინი საექსპლუატაციოდ გადაეცა;

ცენტრალური გათბობის სისტემებისა — ერთი სათბობი პერიოდის განმავლობაში;

წყალსადენისა და კანალიზაციის გარეგანი ქსელებისა — ერთი წლის განმავლობაში, ხოლო წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შინაგანი ქსელებისა — იმ დღიდან 6 თვის განმავლობაში, რაც ხელმოწერილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი;

— დააწესა, რომ ბარაკებიდან მოქალაქეთა გადასასახლებლად განკუთვნილი საცხოვრებელი ფართობი უნდა გამოირიცხოს იმ საერთო ფართობიდან, რომლიდანაც საბინაო მშენებლობის შემკვეთები მოვალენი არიან გადასცენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი;

მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შემდგომ გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კუთვნილი საბინაო ფონდი ქალაქებსა და მუშათა დაბებში, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის ობიექტები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ქალაქებისა და დაბების მოსახლეობას;

დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია სახელმწიფო საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის ხარჯების დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ;

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან დაკავშირებით, დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მონაწილეობით, შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება სამეურნეო ანგარიშის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაკთა მატერიალური დაინტერესება იმით, რომ გაუმჯობესდეს სახელმწიფო საბინაო ფონდის ტექნიკური და სანიტარული მდგომარეობა, უზრუნველყოფილ იქნას საცხოვრებელი სახლების დროული და მაღალხარისხოვანი რემონტი, მათი დაცვა-შენახვა და კეთილმოწყობა, აგრეთვე საბინაო ფონდის რენტაბელობის ამაღლება;

დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს განიხილოს ქალაქებისა და მუშათა დაბების თბომომარაგების სამეურნეო ანგარიშის საწარმოების (გაერთიანებული საქვაბეები თბოქსელებით) დაკრედიტების საკითხი, მუშაობის სეზონური ხასიათის გათვალისწინებით;

დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს გაითვალისწინონ 1968-1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებით, რომ მოეწყოს წარმოება (ამისათვის საჭირო სიმძლავრეთა შექმნით) მანქანებისა, მოწყობილობისა და ხელსაწყოებისა წყალმომარაგების, თბომომარაგების და კანალიზაციის სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე სახლმფლობელობათა ტერიტორიების, სადგომებისა და კიბის უჯრედების დასუფთავების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ შენობებში;

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს წყალსადენების საწმენდ ნაგებობათა მწარმოებლურობა, შეიქმნას წყალსადენების მუშაობის მყარი რეჟიმები, გაუმჯობესდეს სასმელი წყლის ხარისხი და ჩამდინარე წყლების გაწმენდა, დაავალა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს:

— შეიმუშაოს 1968 წელს გაწმენდილი გრანულირებული გოგირდმჟავა თიხამიწის წარმოების ტექნოლოგია და მოაწყოს 1970 წელს მისი წარმოება ქვესაუწყებო საწარმოებში;

— შეიმუშაოს და დაამზადოს ახალი სახის კოაგულიანტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი წყლის დამუშავების ვადების შემცირებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას;

— გაადიდოს ქვესაუწყებო საწარმოებში ბალონებსა და სხვა მცირე ტარაში ქლორის ჩამოსხმის სიმძლავრენი და უზრუნველყოს 1970 წელს ქლორის ჩამოსხმა ასეთ ტარაში 36 ათასი ტონის რაოდენობით წელიწადში;

დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განიხილოს საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნილებანი იმ თხევადი ქლორის ბალონებზე, რომლებიც განკუთვნილია სასმელი

წყლის გასაწმენდად და ჩამდინარე წყლების უვნებელსაყოფად, რისთვისაც მოაწყოს ასეთი ბალონების წარმოება ჩვენი ქვეყნის საწარმოებში და შეისყიდოს ისინი საზღვარგარეთ;

ნება დართო სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიოს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს გრძელვადიანი კრედიტები საწარმოო ბაზების მშენებლობისათვის. დააწესა, რომ კრედიტების დაფარვა შეიძლება მოხდეს იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილების მე-16 პუნქტით, აგრეთვე სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა მოგების ხარჯზე;

დაავალა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს შეარჩიოს და დაამტკიცოს 1967 წელს სერიული წარმოებისათვის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და ხელსაწყოების, წყალჩამკეტი არმატურის, წყლის წნევის რეგულირების სარქველების საუკეთესო კონსტრუქციები და მიიღოს ზომები მათი სათადარიგო ნაწილების წარმოების გასადიდებლად იმის გათვალისწინებით, რომ ფართოდ მიეყიდოს ისინი მოსახლეობას;

აკრძალა ისეთი ახალი სახის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მათი სათადარიგო ნაწილების წარმოება 1968 წლიდან, რომელთა დასამზადებლად საჭირო სამუშაო ნახაზები არ დაუმტკიცებია სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს;

დაავალა სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს, 1967 წლიდან დაწყებული, საცხოვრებელი სახლებისა და სათბობი საქვაბეების ტიპობრივი პროექტებით მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების დაყენება საექსპლუატაციო სამუშაოთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის;

დააწესა, რომ სახლის კომიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს სახლმმართველობის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებში;

ძალადაკარგულად სცნო 1968 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 24 მარტის № 1454 დადგენილების მე-7 პუნქტი.

24. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფი-

ნანსთა სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთ საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას საქართველოს სსრ მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 20 ნოემბერი, № 696.

14 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად ახლადდასახლებულებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს ახლადდასახლებულებს გრძელვადიანი კრედიტი ძროხების შესაძენად 300 მანეთამდე და უშობლების შესაძენად — 150 მანეთამდე თითო ოჯახზე 5 წლის ვადით იმ ანგარიშით, რომ ძროხების შესაძენად მიცემული კრედიტის დაფარვა დაიწყოს მისი მიღების მეორე წლიდან, ხოლო უშობლების შესაძენად მიღებული კრედიტისა — მესამე წლიდან. აღნიშნული კრედიტების გაცემა მოხდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმის ფარგლებში.

ძროხებისა და უშობლების შესაძენად კრედიტები მიეცეთ ახლადდასახლებულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით, მათი შუამდგომლობის თანახმად.

2. ეცნობოთ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 ნოემბრის № 1045 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება პუნქტები 1 და 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილებისა „გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება იმას, თუ რა რაოდენობით და რა პირობებში უნდა მიეცეთ კრედიტები ახლადდასახლებულებს ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად. ეს დადგენილება დაგზავნილია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 აპრილის № 294 დადგენ: ლებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 22 ნოემბერი, № 704.

15 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 24 ნოემბერი, № 707.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 24 ნოემბრის № 707
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო განახორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების მეშვეობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ისე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება და ამ ხაზით პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა; საყოფაცხოვრებო მომსახურების სახალხო მეურნეობის მსხვილ მექანიზებულ დარგად გარდაქმნის ღონისძიებათა გატარება;

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოთხოვნილებათა შესწავლა და ამის საფუძველზე საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

სამრეწველო და არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის მაქსიმალურად გადიდება, საყოფაცხოვრებო საწარმოების მშენებლობა და გაფართოება, მომსახურების ახალი პროგრესული ფორმებისა და სახეობათა დანერგვა, საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო პროცესების მექანიზაციის ყოველმხრივ გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გავრცელება, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შემდგომი განვითარება და წარმოებაში დანერგვა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის განვითარებისა და განლაგებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების, აგრეთვე სამინისტროებისადმი დაქვემდებარებული რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელობასა და მათდამი პრაქტიკულ დახმარებას;

ბ) შეიმუშავებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე წარმოების, ახალი ტექნიკის განვითარებისა და კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, საფინანსო და შრომის გეგმებს, სამინისტროს სისტემის საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, ამასთან გამოყოფს მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისისათვის;

გ) დაამტკიცებს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობას, საერთო და სასაქონლო პროდუქციის, საფინანსო, შრომის, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებს და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის შესაბამისი გეგმებისა;

დ) მიიღებს და გაანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებზე, საოლქო, საქალაქო და რაიონულ სამმართველოებზე მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, კონტროლს გაუწევს ფონდების დროულად ათვისებასა და დანიშნულებით გამოყენებას;

ე) განახორციელებს ღონისძიებებს სისტემის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, შეიმუშავებს ახალი ობიექტების მშენებლობისა და დისლოკაციის, არსებულ საწარმოთა გაფართოების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, განიხილავს და დაამტკიცებს კაპიტალდაბანდებათა სატიტულო სიებს;

ვ) დაამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის სამშენებლო ობიექტების საპროექტო დავალებებს და მათს სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს;

ზ) მიიღებს ზომებს, რათა შემცირდეს თვითღირებულება, აგრეთვე გაიაფდეს და გაუმჯობესდეს საპროექტო სამუშაოები და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ტიპობრივი პროექტები;

თ) შექმნის ცენტრალიზებულ ფონდებს და განაგებს მათ;

ი) სისტემატურ კონტროლს გაუწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების მიერ გეგმების შესრულებას, სახელმწიფო დისციპლინის დაცვას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, ძირითადი საბრუნავი ფონდების სწორად გამოყენებას;

კ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს საყოფაცხოვრებო ხასიათის სამუშაოებისა და მომსახურების პრეისკურანტებსა და ტარიფებს, რომლებსაც არ ამტკიცებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები, კონტროლს გაუწევს მათს სწორად გამოყენებას სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ლ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს, ან დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, საწარმოო მარაგის ნორმებს, მიიღებს ზომებს მათი დანერგვისათვის წარმოებაში, მშენებლობაზე და განახორციელებს დამტკიცებული ნორმების დაცვისადმი კონტროლს;

მ) მიიღებს ზომებს სამმართველოებსა და საწარმოებში ეკონომიური მუშაობის, წარმოებაში შრომის ორგანიზაციის, დანორმვისა და შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის, მომსახურების თვითღირებულების შემცირებისათვის, სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის;

ნ) განახორციელებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შერჩევასა და განაწილებას და კონტროლს გაუწევს მათს სწორად გამოყენებას, უხელმძღვანელებს სპეციალისტთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, მოაწყობს დროებით ან მუდმივმოქმედ კურსებს, ამ ღონისძიებებისათვის დამტკიცებულ ასიგნებათა და კონტინგენტის ფარგლებში; წარმოებაში მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით ფართოდ გამოიყენებს მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილებას.

რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად შექმნის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქსა და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში სასწავლო-საწარმოო კომბინატებს, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ახლომდებარე სოფლის რაიონებს ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში, ამასთან ხელოსანთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოიყენებს მოწინავე სპეციალისტთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მივლინების პრაქტიკას;

ო) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად დაყენებას, ანალიზს გაუკეთებს ბალანსებს და დადგენილი წესით წარადგენს სათანადო ორგანოებში შეჯამე-

ბულ საბუღალტრო ანგარიშებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა დარგის მიხედვით;

საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს საჭირო ზომებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

პ) ჩაატარებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო საკუთრების მოვლა-შენახვა სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ჟ) მოაწყობს ადგილობრივი საშენი მასალების, აგრეთვე იმ არასტანდარტული დანადგარების, ხელსაწყოებისა და საწარმოო ინვენტარის დამზადებას, რაც ესაჭიროება სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

რ) შეიმუშავებს ღონისძიებებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გასაუმჯობესებლად;

ს) ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფს სისტემის საწარმოებს საჭირო ქვითრებითა და მკაცრი აღრიცხვის სხვა ფორმებით;

ტ) საუწყებო არბიტრაჟის მეშვეობით განიხილავს და გადაწყვეტს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილ ქონებრივ დავას;

უ) ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშავებს წინადადებებს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, განახორციელებს კონტროლს ანაზღაურების პირობების სწორად გამოყენებისადმი, დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი;

ფ) ადგილობრივი მრეწველობისა და კომუხალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მიზნად ისახავს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, და დადგენილი წესით შეაჯამებს შეჯიბრების შედეგებს.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს უფლება აქვს:

ა) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებანი წლიურ და კვარტალურ გეგმებში, დადგენილი წესის თანახმად;

ბ) თავის განკარგულებაში დატოვოს რეზერვი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი და დაუბრუნებელი ფინანსური დახმარების გასაწევად წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების 3 პროცენტამდე;

გ) საჭიროების შემთხვევაში გადაანაწილოს ნედლეულისა და მასალების ფონდები, შეიტანოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დამტკიცებულ გეგმებში დაზუსტებანი, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან წარმოების გეგმების შეცვლის შესახებ;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით შეიმუშაოს და განახორციელოს იმ დაგროვების გადანაწილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს შორის, რომელიც ხმარდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი საწარმოების გაფართოებასა და ახალი საწარმოების მშენებლობას, აგრეთვე მათი საბრუნავი სახსრების შევსებას, ამ მიზნით მოახდინოს იმ სახსრების ცენტრალიზაცია განსაკუთრებულ ანგარიშზე, რომლებიც ამოღებული იქნება ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებიდან, ავტონომიური ოლქისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სამმართველოებიდან;

ე) აძლიოს დავალებანი და განახორციელოს კონტროლი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ სწორად და დროულად მიეცეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ვ) შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე შეცვალოს, საჭირო შემთხვევაში, მათი დაქვემდებარება, სახელწოდება, განახორციელოს ღონისძიებანი სისტემის საწარმოთა სპეციალიზაციისა და გამსხვილებისათვის;

ზ) დაამტკიცოს დებულებანი სამინისტროს დარგობრივი, ფუნქციონალური სამმართველოებისა და განყოფილებების, სამინისტროში შექმნილი საბჭოებისა და საუწყებო არბიტრაჟის, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების შესახებ;

6. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შენახვა ხდება იმ ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც შეიტანება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულებაში.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

მინისტრის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს სამინისტროს, ასსრ სამინისტროებს, საოლქო, საქალაქო და რაიონული სამმართველოების, აგრეთვე დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და შეამოწმებს მათს შესრულებას;

გ) გააუქმებს საოლქო, საქალაქო და რაიონული სამმართველოების უფროსების, აგრეთვე დაქვემდებარებული რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების მიერ გამოცემული ბრძანებებისა და ინსტრუქციების მოქმედებას, თუ ეს ბრძანებები და ინსტრუქციები ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

შეიტანს სათანადო ასსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებას ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების ხსენებული ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ;

დ) დანიშნავს თანამდებობაზე და დაითხოვს თანამდებობიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების ხელმძღვანელი მუშაკების თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება წარმოებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, მოისმენს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს და სხვა.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო, სამხატვრო საბჭო, საექსპერტო საბჭო, აგრეთვე საუწყებო არბიტრაჟი, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი.

11. წარმოების ნოვატორთა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების მიზნით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო პერიოდულად იწვევს აქტივის თათბირებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულების, ტექნიკური პროგრესის, საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საკითხების განსახილველად.

12. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აქვს შტამპი და ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და სამინისტროს დასახელება.

---

16 რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მიწების თვითნებურად დაკავების ფაქტების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა არ ასრულებენ მე-14 პუნქტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ“; ბანკის რაიონული განყოფილებები ობიექტების მშენებლობის დაფინანსებას აწარმოებენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მშენებელ ორგანიზაციებს არ აქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვა მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და ნაკვეთის ნატურაში გამოყოფის აქტი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათსარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და დარღვევები იმის შედეგია, რომ რაიაღმასკომები, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საზოგადოებრივი მიწების დაცვის საქმეს, რეგულარულად არ ამოწმებენ და არ იხილავენ მიწათსარგებლობის საკითხებს. არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო საბჭართველოებს უზრუნველყონ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ძიერ თვითნებურად დაკავებული იმ მიწების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაბრუნება, რომლებიც რაიმე ნაგებობით არ არის დაკავებული, ხოლო ამ საქმეში დამნაშავეთა მიმართ მიიღონ მკაცრი ზომები, მათ შორის — სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ საკითხის დაყენება.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებსა და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის მდგომარეობა, მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის, ხოლო იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მიმართ, რომელთაც დაუშვეს საზოგადოებრივი მიწების განიავება, დააყენონ საკითხი მათი სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ჩოლაბაურის კარიერების მთელი გამომუშავებული ფართობის სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანა და მისი ყოფილი მიწათმოსარგებლეებისათვის დაბრუნება.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიწების გამოყოფის გაფორმებისას მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ“, არ დაუშვან ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევები.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ყურადღება მიექცეს იმას, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ობიექტების მშენებლობისა და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის გაფორმების საკითხებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაუშვან მომავალში მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავების ფაქტები, ამასთან დაევალოთ მათ უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ფაქტიურად დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფა დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 25 ნოემბერი, № 711.

17 წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 8 დეკემბრის № 800 დადგენილებამ „წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ“ დადებითი შედეგი გამოიღო, მნიშვნელოვნად შემცირდა ახალგაზრდა ნაძვისა და სხვა წიწვიანი ჯიშის ხეების ჭრა, რითაც გაუმჯობესდა ახალგაზრდა კორომებისა და ხელოვნურად გაშენებული მწვანე ნარგავების მდგომარეობა.

მაგრამ, მიუხედავად აკრძალვისა, ხშირად ცალკეული პირები თვითნებურად ჭრიან წიწვიანი ჯიშის მოზარდ ხეებს საახალწლოდ, რითაც ზიანს აყენებენ წიწვიანი ჯიშის ტყის კორომებსა და მწვანე ნარგავებს.

ამ ბოლო დროს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, ქალაქებისა და რაისაბჭოების აღმასკომებმა შეანელეს ბრძოლა საახალწლო ნაძვისხის დამზადების წინააღმდეგ და არ იღებენ ჯეროვან ზომებს მთავრობის მიერ ამ საკითხზე მიღებული დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის.

წიწვიანი ჯიშის ახალგაზრდა ტყის კორომებისა და ხელოვნურად გაშენებულ ყველა სახის მწვანე ნარგაობათა დაცვის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა უწყებათა ტყეებში, პარკებსა და ბაღებში, აგრეთვე ყველა სახის ნარგავებში წიწვიანი ჯიშის ხეების მოჭრა და გაყიდვა საახალწლო ნაძვისხედ გამოსაყენებლად, აგრეთვე აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას, კოლმეურნეობასა და კერძო პირებს საახალწლო ნაძვისხის შემოზიდვა და მისი რეალიზაცია.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაისაბჭოების აღმასკომებს განიხილონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წიწვიანი ჯიშის კორომებისა და მწვანე ნარგავების დაცვის გაძლიერებას და აღკვეთავს საახალწლო ნაძვისხის მოჭრა-გაყიდვას.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ყოველწლიურად, განსაკუთრებით კი საახალწლო ხის დამზადება-გამოყენების პერიოდში მკვეთრად გააძლიერონ ტყის კორომების, ქარსაფარი

ხოლების, გზატკეცილებისა და რკინიგზების გასწვრივ მდებარე მწვანე ნარგაობათა დაცვა, რისთვისაც შემოიღონ ამ საქმეზე დასაქმებულ მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობა.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს აკრძალონ რკინიგზით, ავტოტრანსპორტითა და თვითმფრინავებით ორგანიზაციებისა და ცალკეულ მგზავრების მიერ საახალწლო ხის გადაზიდვა.

5. დაწესდეს, რომ:

— საახალწლო ნაძვისხის მომჭრელ და შემომტან პირებს ჩამოერთმევათ საახალწლო ნაძვისხე და ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთის ოდენობით.

დაჯარიმებას ახდენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები მილიციის ორგანოების მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე.

ამასთან, მოქმედი კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი რაოდენობით საახალწლო ნაძვისხის მოჭრის შემთხვევაში დამნაშავე პირების მიმართ გამოიყენება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი.

— საახალწლო ნაძვისხის ავტომანქანით შემოტანის შემთხვევაში მძღოლს ჩამოერთმევა მანქანის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით.

6. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ დაავალოს ქალაქებისა და რაიონების მილიციის ორგანოებს ყოველწლიურად, განსაკუთრებით კი საახალწლო ნაძვისხის დამზადება-გამოყენების პერიოდში ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში შემავალ გზატკეცილებზე, აგრეთვე ბაზრებში მოაწყონ საგუშაგოები. უზრუნველყონ ამ დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება და ჩამორთმეული საახალწლო ნაძვისხეები ჩააბარონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებზე გადასაცემად.

7. რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებათა და მოსახლეობის საახალწლო ხეზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას მიიღონ ზომები და უზრუნველყონ მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით ხელოვნური საახალწლო ხეების დამზადება და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის ჩაბარება.

მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვანცხადება იმის შესახებ, რომ 1967 წელს რესპუბლიკაში სარეალიზაციოდ შემოზიდულია მოკავშირე რესპუბლიკებიდან 12,5 ათასი ცალი ხელოვნური საახალწლო ხე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად მოაწყონ გადაცემები და პრესაში გააშუქონ საკითხები რესპუბლიკის ტყეებისა და მწვანე ნარგავთა მნიშვნელობისა და მათი დაცვის გაძლიერების შესახებ.

9. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 8 დეკემბრის № 800 დადგენილება „წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ“.

10. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ და რაიონულ პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი 1967 წლის 30 ნოემბერი, № 719.

18 დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში გამოყენებისათვის მათი ავტორების გასამრჯელოს შესახებ

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში გამოყენებისათვის მათი ავტორების გასამრჯელოს მიცემის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ტირაჟებისათვის იმ ავტორთა გასამრჯელოს ოდენობას, რომლებიც მუდმივად არ მუშაობენ ამ ნაწარმოებთა გამომშვებ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები გამოიანგარიშებენ იმ ძირითადი ჰონორარის თანხის მიხედვით, რომელიც ავტორმა მიიღო მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის. ნაწარმოების პირველი ტირაჟისათვის გასამრჯელო გაიცემა ძირითადი ჰონორარის თანხის 50 პროცენტის რაოდენობით, მეორე ტირაჟისათვის — 30 პროცენტის, მესამე ტირაჟისათვის — 20 პროცენტის და შემდგომი ტირაჟებისათვის — ათ-ათი პროცენტის რაოდენობით.

2. ის პირები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ შრომის დროებრივი ან საანრდო ანაზღაურების წესით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამომშვებ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სარგებლობენ საავტორო უფლებით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თავიანთ ნაწარმოებებზე, მაგრამ ძირითადი ჰონორარი მათ მიერ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნე-

ბის ნაწარმოებთა შესრულებისათვის და საავტორო გასამრჯელო, პირველი ტირაჟისათვის მათ არ მიეცემათ.

იმ პროდუქციის ზღვრულ რაოდენობას, რომელიც კვლავ წარმოქმნის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესრულებულ ნაწარმოებებს, პირველ ტირაჟში განსაზღვრავს საწარმო, ორგანიზაცია ავტორთან შეთანხმებით და უკანასკნელს ამ შემთხვევაში უფლება არა აქვს დაუთმოს აღნიშნულ სამხატვრო ნაწარმოებთა კვლავწარმოქმნა სხვა საწარმოებს ან ორგანიზაციებს მანამ, ვიდრე საწარმოო ან ორგანიზაცია, რომელშიაც იგი მუშაობს, არ ამოწურავს მასთან შეთანხმებით დაწესებული პროდუქციის მთელ რაოდენობას. მეორე ტირაჟიდან დაწყებული და მთელი შემდგომი ტირაჟებისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა იმ ოდენობით, რაც ამ დადგენილების 1 პუნქტით გათვალისწინებულია შესაბამისი ტირაჟებისათვის, მისი 50 პროცენტით შემცირებით.

3. დაწესდეს, რომ საავტორო გასამრჯელო გაიცემა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხოლოდ იმ ნაწარმოებთა ტირაჟებისათვის, რომელთა ორიგინალები მიღებული და შეფასებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სამხატვრო ფონდის და მათი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ორგანოების, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და მათი საწარმოების სამხატვრო საბჭოების მიერ.

4. შეუნარჩუნდეს მხატვარ-ავტორს იმის უფლება, რომ მიიღოს თავისი ნაწარმოების ერთი ნიმუში შემოქმედებითს გამოფენებზე გამოსაყენებლად იმ პირობით, თუ იგი აანაზღაურებს ნიმუშის დამზადებაზე გაწეულ ხარჯებს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს მხატვართა კავშირს ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 დეკემბერი, № 735.

19 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ვ. მ. პეტრიაშვილის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიმდინარე წელს დაბადების 125 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით და სამამულო მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურების აღსანიშნავად დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილის სახელობის ორი სტიპენდია თვითეული 50 მანეთის ოდენობით, უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სტიპენდიების ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 დეკემბერი, № 737.

20 ტვირთზიდვის გეგმის შეუსრულებლობისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები და ტვირთგამგზავნები ტვირთზიდვის ხელშეკრულებით დაწესებული თვიური მოცულობის ან გადასაზიდად მიღებული ერთჯერადი შეკვეთის შეუსრულებლობისათვის იხდიან დაწესებულ ვადაში წარუდგენელი ან გადაუზიდავი ტვირთის ღირებულების 30 პროცენტს, ამ ტვირთის გადაზიდვის სახელშეკრულებო (შეკვეთის მიხედვით) მანძილის საფუძველზე.

2. ვადის გადაცილების ყოველ დღე-ღამეში დაწესებულ ვადებთან შედარებით, როდესაც ტვირთის მიტანა ხდება ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო მიმოსვლის წესით, ავტოსადგურმა უნდა გადაუხადოს შემკვეთს ჯარიმა შესრულებული გადაზიდვის ღირებულების 12 პროცენტის რაოდენობით, ხოლო ვადიანი შეკვეთებისათვის — ღირებულების 20 პროცენტის რაოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი „საავტომობილო

ტრანსპორტით ტვირთზიდვის, საექსპედიციო ოპერაციებისა და იმ სხვა მომსახურების ერთიან ტარიფებში, რასაც ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები ეწევიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 15 დეკემბერი, № 740.

21 საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა ხუთ სამუშაოდღიან კვირაზე გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 ოქტომბრის № 613 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განხორციელდეს 1967 წლის 25 დეკემბრიდან იმ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე, რომლებიც არ გადასულან ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ იმ სამინისტროების, უწყებების და სხვა ცენტრალური დაწესებულებების აპარატის მუშაკებისათვის, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან 1968 წლის 1 იანვრიდან ხუთ სამუშაო და ორდასვენებისდღიან კვირაზე, აგრეთვე ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციებისათვის მუშაობის შემდეგი ხანგრძლიობა კვირის დღეების მიხედვით:

ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს — 8 საათი და 15 წუთი.

პარასკევს — 8 საათი; გამოსასვლელი დღეები — შაბათი და კვირა.

3. შენარჩუნებულ იქნას ქ. თბილისში ამჟამად არსებული დრო სამუშაოს დაწყებისა საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა რესპუბლიკურ დაწესებულებებში — დილის 9 საათი.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ იმ სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებიც მდებარეობენ ქ. თბილისში, დააწესონ მოცემული დაწესებულების მუშაობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით სასადილო შესვენება აპარატის მუშაკებისათვის 45 წუთის ან ერთ საათის ხანგრძლიობით.

რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 10 ივლისის № 441 დადგენილების მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიანი სამუშაო კვირის პირობებში იმ ამოცანების დროულად შესრულებას, რაც პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია სახელმწიფო აპარატის წინაშე.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა მოაწყონ ცენტრალური აპარატის მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამოსასვლელ დღეებში ტვირთის დატვირთვა და გადმოტვირთვა იმ მოცულობით, რაც არ უნდა იყოს კვირის სამუშაო დღეებზე ნაკლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 16 დეკემბერი, № 743.

22 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წ. № 6 უწყებები, მუხ. 353) დამტკიცებული დებულებისა საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ (მუხლი 99), დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 550 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 19 დეკემბერი, № 748.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 19 დეკემბრის № 748
დადგენილებით

ინსტრუქცია

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-2 და 4 მუხლების შესაბამისად (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1967 წ., № 6, მუხ. 353), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ მოიპოვება, შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

ა) დაამოწმებენ გარიგებებს (გარდა მინდობილობებისა საზღვარგარეთ მოქმედებათა შესრულების შესახებ);

ბ) მიიღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;

გ) ყადაღას დაადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;

დ) დაამოწმებენ საბუთებისა და მათი ამონაწერების ასლების სისწორეს;

ე) დაამოწმებენ საბუთებზე ხელისმოწერის სინამდვილეს;

ვ) გადასცემენ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს;

ზ) შეასრულებენ სააღსრულებო წარწერებს;

თ) დაამოწმებენ საბუთების წარდგენის დროს;

ი) მიიღებენ საბუთებს შესანახად;

კ) დაამოწმებენ მოქალაქისა და ფოტოსურათზე გამოსახული პირის იგივეობას;

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო მოქმედებას ასრულებს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მდივანი, რომელსაც შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს სანოტარო ფუნქციების შესრულება.

შენიშვნა: ინსტრუქციის შემდგომ პუნქტებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სანოტარო ფუნქციების შესრულება, ეწოდებათ „აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები“.

3. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების მიერ გამოცემული აქტებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით და ამ ინსტრუქციით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

4. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, რათა მათი იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა ან სხვა ამგვარი გარემოება არ იქნას გამოყენებული მათ საზიანოდ.

5. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, თუ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას აღმოაჩენენ ცალკეულ თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა მიერ კანონიერების ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებს ან არსებითს ნაკლოვანებებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში, მიიღებენ ზომებს კანონიერების დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ან შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს ან მშრომელთა კოლექტივებს აცნობებენ გამოვლინებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ, რათა მიიღონ საჭირო ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

6. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები არ შეასრულებენ სანოტარო მოქმედებას, თუ:

ა) ეს მოქმედება არ უნდა შესრულდეს სანოტარო ორგანოს მიერ;

ბ) მოცემული სანოტარო მოქმედება კანონის ან საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების თანახმად უნდა შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სხვა აღმასრულებელ კომიტეტში ან სახელმწიფო სანოტარო კანტორაში;

გ) არ არის წარმოდგენილი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ყველა საბუთი;

დ) წარმოდგენილი საბუთები ეწინააღმდეგებიან კანონს ან შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომლებიც სახელს უტეხენ მოქალაქის პატივსა და ღირსებას;

ე) დასამოწმებლად წარდგენილი გარიგება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან სრულდება იმ მიზნით, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს;

ვ) არ არის წარდგენილი სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილებანი ვარიგების შესასრულებლად, როდესაც გარიგება წარმომადგენლის მეშვეობით ხდება;

ზ) გარიგება, რომელიც იურიდიული პირის სახელით სრულდება, ეწინააღმდეგება მის წესდებაში ან დებულებაში აღნიშნულ მიზნებს;

თ) გარიგების დასამოწმებლად მიმართა ქმედუუნარო პირმა;

ი) არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

II. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი

7. სანოტარო მოქმედებანი შეიძლება შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს ყველა აღმასრულებელ კომიტეტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის თანახმად, სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განსაზღვრულ აღმასრულებელ კომიტეტში ან სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

8. სანოტარო მოქმედება შესრულდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

ცალკეულ შემთხვევებში აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს შეუძლიათ სანოტარო მოქმედება შეასრულონ სხვაგანაც, თუ იმ მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ეს მოქმედებანი სრულდება, საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ინვალიდობა და ა. შ.) არ შეუძლიათ გამოცხადდნენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში. ამ შემთხვევებში, დასამოწმებელ წარწერაში და სანოტარო რეესტრში აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი.

9. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები არკვევენ როგორც გარიგებაში მონაწილე, ისე ყველა იმ პირის ვინაობას, რომლებმაც მიმართეს სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად.

მოქალაქეთა ვინაობის დასადგენად გამოთხოვილ უნდა იქნას პასპორტი, ხოლო თუ მოქალაქე ისეთ ადგილას ცხოვრობს, სადაც პასპორტიზაცია არ არის შემოღებული, — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა ან მოწმობა.

არასრულწლოვანთა ვინაობა შეიძლება დადასტურდეს მშობელთა (მშვილებელთა) პასპორტებში მათ შესახებ არსებული ჩანაწერის ან დაბადების მოწმობის საფუძველზე.

სამხედრო მოსამსახურეთა ვინაობა დადასტურდება სამხედრო ბილეთების ან პირადობის მოწმობების საფუძველზე.

უცხოელთა ან იმ პირთა ვინაობა, რომელთაც მოქალაქეობა არა აქვთ, დადგინდება სსრ კავშირში საბინადრო მოწმობის ან ეროვნული პასპორტის საფუძველზე, რომელიც რეგისტრირებულია მილიციის ორგანოებში.

10. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეამოწმებენ გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ხელისმოწერის სინამდვილეს, რომლებმაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიმართეს.

სანოტარო წესით დასადასტურებელ გარიგებებსა და სხვა დოკუმენტებზე ხელისმოწერა უნდა მოხდეს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირების დასწრებით. თუ ხელმოწერა შესრულებულია სახელმწიფო ნოტარიუსის დაუსწრებლად, მაშინ ხელისმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს შეუძლიათ არ მოითხოვონ მათთვის ცნობილ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პირადად გამოცხადება, თუ მათი ხელისმოწერის სინამდვილე ეჭვს არ იწვევს.

თუ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის მიმართა ისეთმა პირმა, რომელმაც არ იცის ის ენა, რომელზედაც დაწერილია სათანადო საბუთი, საბუთის ტექსტი უნდა გადათარგმნონ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ეს ენა იციან, ან მთარგმნელმა, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები იცნობენ.

თუ გარიგების მონაწილე მოქალაქეს არ შეუძლია პირადად მოაწეროს ხელი საბუთს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, მაშინ მისი დავალებით, მისი თანდასწრებით და აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა თანდასწრებით საბუთს ხელს მოაწერს სხვა მოქალაქე, რაც აღინიშნება ხელმოსაწერ საბუთსა და დასამოწმებელ წარწერაში.

თუ მოქალაქეს არ შეუძლია ხელი მოაწეროს ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია საბუთი, იგი ხელს მოაწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიმართა წერა-კითხვის უცოდინარმა ყრუმ, მუნჯმა, ან ყრუ-მუნჯმა მოქალაქემ, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულებას უნდა დაესწროს წერა-კითხვის მცოდნე პირი, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მათ საქმის შინაარსი და დაამოწმოს თავისი ხელმოწერით, რომ გარიგების შინაარსი შეესაბამება გარიგების მონაწილე ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მოქალაქის ნებას.

თუ მოქალაქე, რომელმაც სანოტარო მომქმედების შესრულებისათვის მიმართა, უსინათლოა, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან წაუკითხონ მას საბუთის ტექსტი და ამის შესახებ გააკეთონ აღნიშვნა საბუთზე. თუ უსინათლო მოქალაქე წერა-კითხვის მცოდნეა, მას თვითონ შეუძლია ხელი მოაწეროს საბუთს, ხოლო თუ იგი წერა-კითხვის უცოდინარია, მის მაგივრად ხელს მოაწერს სხვა პირი.

11. სანოტარო მოქმედება შესრულდება ამისათვის საჭირო ყველა საბუთის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

სანოტარო მოქმედებათა შესრულება შეიძლება გადაიდოს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოთხოვილ უნდა იქნას საჭირო ცნობები ან საბუთები საწარმოებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირებისაგან ან გაიგზავნოს საბუთები ექსპერტიზისათვის (ამ ინსტრუქციის პუნქტები 14, 22 და 61).

12. გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმება, საბუთების, მათი ამონაწერების ასლების სისწორის და საბუთებზე ხელის მოწერის სინამდვილის დამოწმება იმაში მდგომარეობს, რომ ამის შესახებ გაკეთდეს წარწერა თვით აქტზე აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა ხელმოწერით და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების ბეჭდის დასმით.

13. სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებებისა და საბუთების ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით, თარიღი და ვადა, რომელიც საბუთის შინაარსს შეეხება, ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვით, ხოლო იურიდიულ პირთა დასახელება — შეუმცირებლად, მათი ორგანოების მისამართების აღნიშვნით.

ამოფხეკა სანოტარო წესით დასამოწმებელ ან შესამოწმებელ საბუთებში არ დაიშვება. შეუვსებელი სტრიქონები უნდა გადაიხაზოს. მინაწერები და სხვა გასწორებანი საბუთებში უნდა აღინიშნოს მონაწილე პირთა ხელმოწერის წინ და განმეორდეს დამამოწმებელ წარწერაში. გასწორებანი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ ყოველივე შეცდომით დაწერილის და შემდეგ წაშლილის წაკითხვა შეიძლებოდეს თავდაპირვანდელ ტექსტში.

ფანქრით დაწერილი საბუთები დასამოწმებლად არ მიიღება.

რამდენიმე ცალკეულ ფურცელზე შედგენილი საბუთები უნდა იყოს ზონარგაყრილი, ხოლო მათი ფურცლები დანომრილი. დანომრილი ფურცლების რაოდენობა დამოწმდება აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა ხელმოწერით და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდის დასმით.

14. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ გამოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და თანამდებობის პირებისაგან ცნობები და საბუთები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად.

15. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხვა თანამშრომლები მოვალენი არიან დაიცვან მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებულ სანოტარო მოქმედებათა შესახებ და საბუთები მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე პროკურატურის, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით, მათს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.

ცნობები ანდერძის შესახებ გაიცემა მხოლოდ მოანდერძის სიკვდილის შემდეგ.

16. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავის სახელზე და თავისი სახელით, თავისი მეუღლის სახელით ან მის სახელზე, მისი და თავისი ნათესავების სახე-

ლით, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მოცემული აღმასრულებელ. კომიტეტის თანამშრომელთა სახელზე და მათი სახელით.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მოცემული აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი განყოფილებების (სამმართველოების და ა. შ.) სახელზე და მათი სახელით.

აღნიშნულ შემთხვევებში სანოტარო მოქმედებას შეასრულებს სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან მშრომელთა დეპუტატების სხვა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

17. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები იმ პირთა თხოვნით, რომლებსაც სანოტარო მოქმედებათა შესრულება სურთ, შეადგენენ გარიგებათა და განცხადებათა პროექტებს, მოამზადებენ საბუთების ასლებს და მათ ამონაწერებს.

18. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა მიერ დამოწმებული ან მათ მიერ გაცემული საბუთის დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადებით გაიცემა დაკარგული საბუთის დუბლიკატი.

საბუთის დუბლიკატზე გაკეთდება წარწერა, სადაც აღინიშნება მშრომელთა დეპუტატების მოცემული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბუთის დამოწმების ან დედნის გაცემის თარიღი, ნომერი, რომლითაც იგი რეგისტრირებულია სანოტარო რეესტრში, აგრეთვე დუბლიკატის გაცემის თარიღი.

ანდერძის დუბლიკატი შეიძლება მიეცეს ანდერძში მოხსენებულ მემკვიდრეებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ მოწმობას მოანდერძის გარდაცვალების შესახებ.

სააღსრულებო წარწერის დუბლიკატი გაიცემა იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ინახება. სააღსრულებო წარწერის დუბლიკატის ტექსტი დაიწერება დავალიანების დამადასტურებელი საბუთის ასლზე.

19. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებათა, განცხადებათა პროექტების შედგენისათვის, საბუთების, მათი ამონაწერების ასლების დამზადებისა და დუბლიკატების გაცემისათვის მოქალაქეებს, საწარმოებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

20. ყველა სანოტარო მოქმედება გატარდება სანოტარო რეესტრში. ის ნომერი, რომლითაც სანოტარო მოქმედება რეგისტრირებულია რეესტრში, აღინიშნება აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა მიერ გაცემულ საბუთებში და დამამოწმებელ წარწერებში.

III. სანოტარო მოქმედებანი

1. გარიგებათა დამოწმება

21. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონით დადგენილია შესრულების სავალდებულო სანოტარო ფორმა. მხარეთა სურვილით შეიძლება დამოწმებულ იქნას სხვა ისეთი გარიგებანიც, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება კანონით სავალდებულო არ არის.

სავალდებულო სანოტარო წესით დამოწმებულ უნდა იქნას, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემდეგი გარიგებანი:

ა) ხელშეკრულებანი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში მდებარე ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების) შესახებ;

ბ) ხელშეკრულებანი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობის შესახებ;

გ) ნაჩუქრობის ხელშეკრულებანი თანხით არა უმეტეს ხუთასი მანეთისა;

დ) ანდერძები;

ე) მინდობილობანი იმ გარიგებათა შესრულების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ სანოტარო ფორმას, აგრეთვე ისეთი მოქმედებისა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც კანონით ან სპეციალური წესებით დაშვებულია მინდობილობის სხვა ფორმა;

ვ) მინდობილობანი, რომლებიც გაცემულია, გადანდობის წესით;

22. გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეამოწმებენ გარიგების მონაწილეთა ქმედუნარიანობას.

თუ გარიგებაში მონაწილეობენ იურიდიული პირები, შემოწმდება მათი ქმედუნარიანობა.

წარმომადგენლის მიერ გარიგების შესრულების შემთხვევაში შემოწმდება მისი უფლებამოსილება.

გარიგების მონაწილეთა ქმედუნარიანობა შემოწმდება მათი ასაკის დამადასტურებელი საბუთების მოთხოვნის გზით.

თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ გარიგების რომელიმე მონაწილეს სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება ასეთი პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ არ არსებობს, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები თავიანთ მოსაზრებებს აცნობებენ ერთ-ერთ პირს ან ერთ-ერთ ორგანიზაციას, რომლებიც აღნიშნული არიან საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267 მუხლში. ამ შემთხვე-

ვაში გარიგების დამოწმება გადაიდება მანამ, ვიდრე მიღებული იქნება ცნობები გარიგების მონაწილის ქმედუნარიანობის შესახებ.

23. გარიგებანი 15 წლის ასაკამდე არასრულწლოვანთა სახელით შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გარიგებანი შესრულებულია მათი მშობლების, მშვილებლების ან მეურვეების მიერ (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მუხლი 13).

15-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგებანი შეიძლება დამოწმებულ იქნას მხოლოდ მშობლების, მშვილებლების ან მეურვეების თანხმობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მუხლი 14).

24. გარიგებანი იმ მოქალაქეთა სახელით, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან ქმედუუნაროდ, შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გარიგებანი შესრულებულია მათი მეურვეების მიერ (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მუხლი 15).

25. გარიგებანი ქონების გასხვისების და გირავნობის, სავალო ვალდებულებათა გაცემის, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობაზე უარის თქმის, ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ქონების გაქირავების შესახებ, ხელშეკრულებანი ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომლებსაც დადებს მეურვე სამეურვეო პირის სახელით, შეიძლება დამოწმებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს მეურვეობის ან მზრუნველობის ორგანოების თანხმობა ამ მოქმედებათა შესრულების შესახებ.

არ უნდა იქნას დამოწმებული, როგორც უკანონო, მეურვეების მიერ იმ ქონების ნაჩუქრობის ხელშეკრულებანი, რომელიც სამეურვეო პირს ეკუთვნის (საქართველოს სსრ ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის მუხლი 94).

26. გარიგებანი ქონების გასხვისებისა და გირავნობის, სავალო ვალდებულებათა გაცემის, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობაზე უარის თქმის, ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ქონების გაქირავების შესახებ, ხელშეკრულებანი ერთობლივი მოქმედების შესახებ, რომლებსაც სდებენ მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, შეიძლება დამოწმებულ იქნას მხოლოდ მზრუნველთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების თანხმობით (საქართველოს სსრ ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის მუხლი 94).

27. თუ გარიგება ხდება იურიდიული პირის სახელით, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან გაეცნონ იურიდიული პირის წესდებას ანუ მის დებულებას და შეამოწმონ შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედებანი იურიდიული პირისათვის მინიჭებულ უფლებებს.

ისეთი გარიგების დამოწმებისას, რომელშიაც მხარეს წარმოადგენს კოლმეურნეობა, შემოწმდება — რეგისტრირებულია თუ არა მისი წესდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

28. წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეამოწმებენ მის უფლებამოსილებას, რისთვისაც გამოითხოვენ მის სახელზე გაცემულ მინდობილობას.

გარიგების დადების შესახებ მინდობილობა არ მოეთხოვებათ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებს, რომლებსაც წესდებით ან დებულებით მინიჭებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ გარიგების დადების უფლება. ამ პირებს მოეთხოვებათ მხოლოდ მათი თანამდებობრივი მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი.

თუ იურიდიულ პირს განაგებს ამორჩევითი კოლეგიალური ორგანო, ამ ორგანოს ხელმძღვანელს უნდა მოეთხოვოს საბუთი მისი არჩევის შესახებ.

29. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან განუმარტონ მხარეებს მათ მიერ წარდგენილ გარიგებათა პროექტების აზრი და მნიშვნელობა და შეამოწმონ — შეესაბამება თუ არა მათი შინაარსი მხარეთა ნამდვილ განზრახვებს.

30. სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებანი წარედგინება აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს სულ ცოტა ორ ცალად მაინც, რომელთაგან ერთი ცალი რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

გარიგების ყველა ეგზემპლარს ხელს მოაწერენ მხარეები. დამამოწმებელი წარწერა გაკეთდება ყველა ეგზემპლარზე. მხარეთა სურვილით ყოველ მათგანს მიეცემა გარიგების თითო ცალი.

31. გარიგებანი გადასახადით ან გამოსაღებით დასაბეგრი ქონების გასხვისების შესახებ შეიძლება დამოწმებულ იქნას იმ პირობით, თუ წარდგენილია გადასახადის ან გამოსაღების გადახდის დამადასტურებელი საბუთი ან შესაბამისი ორგანოების და შემძენის თანხმობა, რომ გამოანგარიშებული გადასახადი ან გამოსაღები გადატანილ იქნას შემძენის სახელზე.

ა. დამოწმება ხელშეკრულებებისა საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ნაჩუქრობის) შესახებ

32. ხელშეკრულებებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ნაჩუქრობის) შესახებ დაამოწმებენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

33. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, ნაჩუქრობის, გაცვლის) შესახებ ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეამოწმებენ — ეკუთვნის თუ არა ისინი გამსხვისებელ პირს, და რომ არ არის დადებული ყადაღა გასხვისებაზე.

იმ პირს, რომელიც ეწევა საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებას, მოეთხოვება უფლებადამადასტურებელი საბუთი (ხელშეკრულება, მოწმობა მემკვიდრეობის უფლების შესახებ და ა. შ.), ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა (იმ შემთხვევებში, როდესაც ინვენტარიზაცია ჩატარებულია), საფინანსო ორგანოს ცნობა, რომ არ ირიცხება გადასახადთა დავალიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების შესახებ ძეიძლება დამოწმებული იქნას ძხოლოდ იმ შეძთხვევაში, თუ კრედიტორი და შეძძეხი თანახმანი არიან გადატანილ იქნას ვალი შეძძენზე. იმ შემთხვევაში თუ ყადაღა დადებულია სასაძართლო ან საგამოძძიებლო ორგანოების მიერ, ხელშეკრულება სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო საძძეხებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების შესახებ შეიძლება დამოწმებულ იქნას ძხოლოდ ყადაღის მოხსნის შემდეგ.

34. ხელშეკრულება იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ ძეხაშენეთა საბინაო-საძშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გადაცვლის, ნაჩუქრობის) შესახებ, როძლებიც შეძეხილია ცოლ-ქმრის მიერ ქორწინების რეგისტრაციის შეძდეგ, შეიძლება დამოწმებულ იქნას ძხოლოდ მაშინ, თუ წარდგენილი იქხება მეორე ძხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობა გასხვისების შესახებ.

თუ ძოქალაქე, როძელიც ასხვისებს სახლს (სახლის ნაწილს) ან ბინას ინდივიდუალურ ძეხაშენეთა საბინაო-საშშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში, არ არის დაქორწინებული, მან ამის შესახებ უხდა წარადგინოს წერილობითი განცხადება. ეს განცხადება ეცნობება ხელწერილქვეშ მყიდველს.

35. როდესაც საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის კუთვნილ წილს საცხოვრებელ სახლში ყიდულობს გარეშე პირი, ამის შესახებ ხელძეკრულება შეიძლება დაძოწმდეს მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება წერილობითი ფორმით იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ საერთო წილობრივი საკუთრების დანარჩენი მონაწილეებისათვის ცნობილია მომავალი გაყიდვის ამბავი, ფასი და სხვა პირობები, როძლებშიაც იყიდება სახლის წილი და რომ საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეები უარს აცხადებენ სახლის წილის უპირატესობრივი შესყიდვის უფლებაზე.

აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დამოწმებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ საერთო წილობრივი საკუთრების ძონაწილეხი არ განახორციელებენ უპირატესობრივი შესყიდვის უფლებებს იმ დღიდან ერთი თვის განძავლობაში, რაც ძათ წერილობითი ფორძით ეცნობათ სახლის წილის გაყიდვის განზრახვა და ბირობები (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მუხლი 126).

36. საცხოვრებელი სახლის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ნაჩუქრობის) დროს ხელშეკრულების ტექსტში აღინიშხება არითმეტიკული წილი და არა სახლის კონკრეტული ხაწილები (სართულები, ოთახები).

სახლის წილის გასხვისება აღინიშნება იმ საბუთზე, რომელიც პირადი საკუთრების უფლებას ადასტურებს.

37. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ნაჩუქრობის) შესახებ ხელშეკრულების დამოწმების დროს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები განუმარტავენ გამყიდველსა და მყიდველს საქართველოს სსრ სამოქალა-

ქო კოდექსის 104 და 238 მუხლების შინაარსს, რაც აღინიშნება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების შესახებ დადებული ხელშეკრულების ტექსტში.

გასხვისების პირობით საძიდღემშიო შენახვის ხელშეკრულების ტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ შემძენს განემარტა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 439 მუხლის შინაარსი.

საცხოვრებელი სახლის ნაჩუქრობის ხელშეკრულების ტექსტში აღინიშნება, რომ ის პირი, ვისაც სახლი აჩუქეს გაეცნო საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 105 მუხლის შინაარსს.

იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისების ხელშეკრულების დამამოწმებელ წარწერაში, რომლებიც მდებარეობენ ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში, აღინიშნება, რომ ხელშეკრულება უნდა წარედგინოს რეგისტრაციისათვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას.

38. ხელშეკრულებანი სოფლის დასახლებულ პუნქტებში მდებარე საცხოვრებელი სახლების გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, ნაჩუქრობის, გაცვლის) შესახებ არ საჭიროებენ სანოტარო წესით სავალდებულო დამოწმებას. მაგრამ მხარეთა სურვილით ასეთი ხელშეკრულებანი შეიძლება დამოწმებულ იქნას სანოტარო წესით ამ ინსტრუქციის 32—37 პუნქტებში აღნიშნული წესების დაცვით. კოლმეურნის ან საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარდგენილ უნდა იქნას საკოლმეურნეო კომლის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა, ხოლო თუ არიან კომლის არასრულწლოვანი და ქმედუუნარო წევრები — მეურვეობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.

კოლმეურნეობისათვის ან საბჭოთა მეურნეობისათვის მიჩენილ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების რეგისტრაციის დროს წარდგენილ უნდა იქნას კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანხმობა — გადაეცეს მიწის ნაკვეთი შენობის შემძენის სარგებლობაში.

ცნობები გასასხვისებელი სახლის კუთვნილების, გადასახადების ანუ გამოსაღების დავალიანების, საცხოვრებელ სახლსა და მის განსხვისებაზე ყადაღის უქონლობის შესახებ, აგრეთვე მისი სადაზღვევო შეფასების შესახებ შემოწმდება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არსებული საბუთების მიხედვით.

39. სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების პირობით სამიდღემშიო შენახვის ხელშეკრულების დამოწმების დროს უნდა შემოწმდეს — არის თუ არა სახლის განმსხვისებელი შრომაუუნარო, რაც აღინიშნება ხელშეკრულების ტექსტში.

40. ხელშეკრულებანი სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ იმ საცხოვრებელი სახლების შეძენის შესახებ, რომლე-

ბიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, შეიძლება დამოწმებულ იქნას იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლი იყიდება იმ ფასად, რაც არ აღემატება სადაზღვევო შეფასებას.

ხელშეკრულებანი კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აღნიშნული სახლების შეძენის შესახებ დამოწმდება, თუ სახლები იყიდება იმ ფასად, რაც არ აღემატება სახლების საინვენტარიზაციო შეფასებას, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ გატარებულა, — სადაზღვევო შეფასებას.

ბ. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობის შესახებ ხელშეკრულებათა დამოწმება

41. ხელშეკრულებებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობის შესახებ დაამოწმებენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

42. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს შემოწმდება — ეკუთვნის თუ არა იგი დამგირავებელ პირს. თუ ხელშეკრულების დამოწმება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაშინ წარდგენილ უნდა იქნას ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა და საფინანსო ორგანოს ცნობა გადასახადთა დავალიანების უქონლობის შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეამოწმებს დასაგირავებელი სახლის კუთვნილებას და გადასახადთა დავალიანების უქონლობას ამ აღმასრულებელ კომიტეტში არსებული მონაცემების მიხედვით.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობის ხელშეკრულების დამოწმების დროს იმავდროულად დაედება ყადაღა დასაგირავებელი სახლის გასხვისებას. გასხვისებაზე ყადაღის დადება ხდება ამ ინსტრუქციის 56-59 პუნქტებში აღნიშნული წესების მიხედვით.

გ. ანდერძის დამოწმება

43. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ ქმედუნარიან მოქალაქეთა ანდერძს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 551 მუხლის მოთხოვნების დაცვით. ანდერძი უნდა წარუდგინოს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს პირადად მოანდერძემ. ანდერძის დამოწმება წარმომადგენელთა მეშვეობით არ დაიშვება.

44. ანდერძის დამოწმებისას მოანდერძეს განემარტება საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 547 მუხლის შინაარსი, რაც აღინიშნება ანდერძის ტექსტში მოანდერძის ხელის მოწერის წინ. საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის წევრებს განემარტებათ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 569 მუხლის შინაარსი.

მოანდერძეს არ მოეთხოვება იმის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა, რომ მას ეკუთვნის საანდერძო ქონება.

45. იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა მიიღეს განცხადება ანდერძის გაუქმების შესახებ, ამას ისინი აღნიშნავენ ანდერძის იმ ეგზემპლარზე, რომელიც მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტში ინახება, და სანოტარო რეესტრში.

ანდერძის გაუქმების შესახებ განცხადებაზე ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძე პირადად გამოცხადდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში განცხადების გადასაცემად და დაადასტურა თავისი ხელმოწერის სინამდვილე.

დ. მინდობილობათა დამოწმება

46. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს შეუძლიათ დაამოწმონ მინდობილობანი როგორც ერთი ან რამდენიმე პირის სახელით, ისე ერთი ან რამდენიმე პირის სახელზედაც.

47. მინდობილობის ტექსტში უნდა აღინიშნოს: მისი შედგენის ადგილი და თარიღი, მინდობილობის გამცემი პირის და იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, რომლის სახელზედაც იგი გაცემულია. იურიდიული პირის სახელით გაცემულ მინდობილობაში, ამის გარდა, უნდა აღინიშნოს იურიდიული პირის სრული დასახელება, მისი ხელმძღვანელი ორგანოს ადგილსამყოფელი და მინდობილობის ხელმომწერი პირის თანამდებობრივი მდგომარეობა.

თუ მინდობილობაში აღნიშნულია მისი მოქმედების ვადა, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელიწადს (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მუხლი 67).

48. სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახელით გაცემული მინდობილობანი შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ ისეთი მოქმედების შესასრულებლად, რის ნებასაც მათ აძლევს წესდება ან დებულება, რომელთა საფუძველზე ისინი მოქმედებენ.

49. გადანდობის წესით გაცემული მინდობილობა შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ მინდობილობის წარდგენის შემდეგ, რომლის საფუძველზედაც წარმოებს მისი გაცემა და თუ ამ უკანასკნელში აღნიშნულია გადანდობის უფლება.

გადანდობის წესით დასამოწმებელი მინდობილობა არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ უფლებებს, რაც აღნიშნულია მინდობილობაში, რომლის საფუძველზედაც იგი გაცემულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადანდობის წესით დასამოწმებელ მინდობილობაში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც შეიცავს ამ ინსტრუქციის 47 პუნქტი, უნდა აღინიშნოს აგრეთვე იმ მინდობილობის დამოწმების დრო და ადგილი, რომლის საფუძველზედაც იგი გაცემულია.

გადანდობის წესით გაცემული მინდობილობის დამოწმების შესახებ უნდა გაკეთდეს აღნიშვნა მინდობილობაზე, რომლის საფუძველზედაც იგი გაცემულია.

გადანდობის წესით დამოწმებული მინდობილობის ეგზემპლარი და იმ მინდობილობის ასლი, რომლის საფუძველზედაც იგი გაცემულია, რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში.

გადანდობის წესით მინდობილობათა შემდგომი დამოწმების დროს იმ მინდობილობის ასლი, რომლის საფუძველზედაც გაფორმებულია გადანდობა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არ რჩება. ამ შემთხვევებში მინდობილობა, რომლის საფუძველზეც გაფორმებულია გადანდობა, გამოითხოვება მხოლოდ გასაცნობად.

2. ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დასაცავად

50. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით მიიღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როდესაც ეს საჭიროა მემკვიდრეების, ანდერძდანაკისრის მიმღების, კრედიტორების ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

51. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით მოახდენენ სამკვიდრო ქონების აღწერას და გადასცემენ მას შესანახად მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

თუ მემკვიდრეობის შემადგენლობაში არის ისეთი ქონება, რომელიც მოითხოვს მართვა-გამგეობას (საცხოვრებელი სახლი და ა. შ.), აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორებმა წარადგინეს სარჩელი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებამდე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს მეურვეს სამკვიდრო ქონებაზე.

სამკვიდრო ქონების აღწერას აწარმოებენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაინტერესებული პირებისა და დამსწრეთა მონაწილეობით. აღწერის აქტს ხელს მოაწერს ყველა აღნიშნული პირი.

აღწერის აქტი შედგება სულ ცოტა სამ ცალად მაინც, რომელთაგან ერთი ეძლევა მოქალაქეს, რომელმაც მიიღო ქონება შესანახად, მეორე ცალი ეგზავნება სახელმწიფო სანოტარო კანტორას მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით, ხოლო მესამე ცალი რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

52. სამკვიდრო ქონების აღწერის აქტში მოცემულ უნდა იქნას აქტში ჩამოთვლილი საგნების აღწერილობა და შეფასება სახელმწიფო საცალო ფასებში, მათი გაცვეთის გათვალისწინებით, ან მცოდნე პირთა დასკვნის მიხედვით.

საცხოვრებელი სახლები შეფასდება საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ გატარებულა, — სადაზღვეო შეფასების მიხედვით.

53. აღწერილი ქონება გადაეცემა შესანახად მემკვიდრეს ან სხვა პირს ხელწერილ ქვეშ, რომელიც გაკეთდება აღწერის აქტზე.

ის პირები, რომლებსაც სამკვიდრო ქონება გადაეცათ შესანახად, უნდა გააფრთხილონ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა, რომ მათ ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვისათვის და მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის, რაზედაც მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი. ხელწერილი შეიძლება დაიწეროს სამკვიდრო ქონების აღწერის აქტზე.

გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ფულადი თანხები ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას სახელმწიფო სანოტარო კანტორის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები მონეტის, ზოდების და ნედლი სახით, უცხოეთის ვალუტა და უცხოეთის ვალუტაში გამოწერილი საგადამხდელო დოკუმენტები (თამასუქები, ჩეკები, გზავნილები და ა. შ.), უცხოეთის საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები, მათი კუპონები და ა. შ.), ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის ნაკეთობანი, აგრეთვე ძვირფასი ქვები და მარგალიტი შესანახად ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას.

50 მანეთზე ნაკლები ღირებულების ფასეულობანი რჩება შესანახად იმ პირს, რომელიც დანიშნულია სამკვიდრო ქონების შემნახველთან.

გარდაცვალებულის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (გარდა სანადირო და სპორტული იარაღისა) და ფეთქებადი მასალები ჩაბარდება მილიციის ორგანოებს განსაკუთრებული აღწერილობებით.

თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის მქონე წერილები, — ეს საბუთები შეიტანება ცალკეულ აღწერილობებში და საპასუხისმგებლო შესანახად გადაეცემა მემკვიდრეებს ან სათანადო ორგანიზაციებს.

54. თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან მისი ნაწილი არ იმყოფება სამკვიდროს გახსნის ადგილზე, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით აცნობებს სამკვიდრო ქონების არსებობის ადგილზე მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტს ან სახელმწიფო სანოტარო კანტორას, რომ საჭიროა ზომების მიღება მის დასაცავად.

55. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, აცნობებს სახელმწიფო სანოტარო კანტორას მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე აღნიშნული ზომების მიღების შესახებ.

3. ყადაღის დადება საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე

56. როდესაც მიიღებენ ბანკის დაწესებულებების, სამეურნეო ანგარიშის საწარმოებისა და ორგანიზაციების შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიეცათ სესხი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის მშენებლობისა, კაპიტალური რემონტისა და შეძენისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა დამოწმების დროს, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას დაადებენ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე.

57. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე ყადაღის დადება ხდება შემდეგნაირად: საბანკო დაწესებულების, სამეურნეო ანგარიშის საწარმოს (ორგანიზაციის) შეტყობინებაზე სესხის გაცემის შესახებ გაკეთდება სათანადო წარწერა. შეტყობინების ერთი ცალი წარწერით, რომ გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, გაეგზავნება ბანკის შესაბამის დაწესებულებას, სამეურნეო ანგარიშის საწარმოს (ორგანიზაციას), რომელმაც სესხი გასცა, მეორე ცალი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას გასხვისების ყადაღის აღრიცხვისა და კონტროლისათვის, ხოლო მესამე ცალი რჩება აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც ყადაღა დაადო გასხვისებას.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რჩება აღნიშნული შეტყობინების ერთი ცალი.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გირავნობაზე ყადაღის დადებისას ამის შესახებ გაკეთდება წარწერა გირავნობის ხელშეკრულებაზე.

58. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე ყადაღის დადება რეგისტრირებულ უნდა იქნას ყადაღათა რეესტრში.

59. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, როგორც კი მიიღებენ საბანკო დაწესებულებების, სამეურნეო ანგარიშის საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინებას სესხის დაფარვის შესახებ ან ცნობას გირავნობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, მოხსნიან ყადაღას საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე.

ყადაღის მოხსნის შესახებ გაკეთდება აღნიშვნა რეესტრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საბუთების ასლებისა და საბუთებიდან ამონაწერების სისწორის დამოწმება

60. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ საბუთების ასლების და საბუთებიდან ამონაწერების სისწორეს, რომლებიც გაცემულია სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ, იმ პირობით, რომ ეს საბუთები არ ეწინააღმდეგება კანონს, აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და მათი ასლებისა და ამონაწერების დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს ეკრძალებათ პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბილეთის, დეპუტატის ბილეთის (მოწმობის), სამხედრო ბილეთის ასლების სისწორის დამოწმება. ამის გარდა, მათ ეკრძალებათ ისეთი საბუთების ასლების სისწორის დამოწმება, როგორიცაა: მოწმობები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და საშუალო სკოლების დამთავრების შესახებ, უცხო ენაზე დაწერილი საბუთები, საზღვარგარეთ მოქმედებისათვის განკუთვნილი საბუთები, ასლები სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების აქტებისა, რომლებიც ეხება მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს, სასამართლო ორგანოების განაჩენებისა, სამეურნეო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებებისა და დებულებებისა, აგრეთვე საბუთების ასლის ასლებისა.

როდესაც მოქალაქენი მიმართავენ ისეთი საბუთის ასლის სისწორის დასამოწმებლად, რომელიც საჭიროა პენსიის დასანიშნავად, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა უნდა განუმარტონ, რომ, სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ არსებული დებულების შესაბამისად, პენსიების დასანიშნავად საჭირო საბუთების ასლები არ მოითხოვენ სავალდებულო დამოწმებას სანოტარო წესით და შეიძლება ისინი დაამოწმოს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებამ.

61. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები საბუთის ასლის ან მისი ამონაწერის სისწორის დამოწმების დროს შეადარებენ ასლს დედანთან. არ შეიძლება დამოწმებულ იქნას სისწორე იმ საბუთის ასლისა, რომელშიაც არის ამოთხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა აღუნიშვნელი გასწორებანი, აგრეთვე იმ საბუთისა, რომელიც დაწერილია რამდენიმე ფურცელზე, თუ ისინი არ არის დანომრილი, ზონარგაყრილი და იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ბეჭედდაკრული, რომელმაც საბუთი გასცა.

თუ იმ საბუთის სინამდვილე, რომელიც წარდგენილია მისი ასლის სისწორის დასამოწმებლად, რაიმე ეჭვს იწვევს, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეაჩერონ მისი შემოწმება და გაგზავნონ იგი ექსპერტიზისათვის.

62. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ იმ საბუთის ასლის სისწორეს, რომელიც გაცემულია მოქალაქის მიერ, იმ შემ-

ხვევებში, როდესაც საბუთზე მოქალაქის ხელმოწერის სინამდვილე დამოწმებულია სანოტარო ორგანოს ან იმ ორგანიზაციის მიერ, რომელშიაც მოქალაქე ჰუშაობს ან სწავლობს, იმ სახლის მმართველობის მიერ, რომელშიაც იგი ცხოვრობს, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რომელშიაც იგი სამკურნალოდ იმყოფება.

63. ამონაწერის სისწორე შეიძლება დადასტურებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც საბუთი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიცავს რამდენიმე ცალკეული, ურთიერთშორის დაუკავშირებელი საკითხის გადაწყვეტას (მაგალითად სხდომის ოქმის ამონაწერი). ამონაწერი უნდა ასახავდეს საბუთის ნაწილის სრულ ტექსტს განსაზღვრულ საკითხზე.

5. საბუთებზე ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება

64. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ იმ საბუთებზე ხელმოწერის სინამდვილეს, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ წარმოადგენს გარიგების შინაარსის გადმოცემას.

საბუთზე ხელმოწერის სინამდვილის დამოწმებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები კი არ ამოწმებენ საბუთში მოყვანილ ფაქტებს, არამედ მხოლოდ ადასტურებენ, რომ ხელმოწერა გარკვეულ პირს ეკუთვნის.

გარიგებაზე შეიძლება დამოწმებულ იქნას მხოლოდ იმ პირის ხელმოწერის სინამდვილე, რომელმაც ხელი მოაწერა სხვა პირის მაგივრად, რომელსაც არ შეუძლია ხელმოწერა ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო.

65. იმ პირის ხელმოწერის სინამდვილის დამოწმების დროს, რომელმაც ხელი მოაწერა სხვა პირის მაგივრად, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი ხელისმოწერა ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაადგენენ ვინაობას როგორც ხელმომწერი პირისა, ისე იმ პირისა, რომლის მაგივრად ხელი მოაწერა ამ პირმა.

წარწერაში ხელმოწერის სინამდვილის დამოწმების შესახებ აღინიშნება ხელმომწერის გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე იმის მიზეზი, რომლითაც განმცხადებელს არ შეეძლო საკუთარი ხელის მოწერა.

66. არ შეიძლება დამოწმება იმ საბუთზე მოქალაქის ხელმოწერის სინამდვილისა, თუ მასში მტკიცდება ისეთი გარემოებანი, რომელთა დამოწმების უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს (დაბადების, გარდაცვალების თარიღი, ქორწინების რეგისტრაცია და ა. შ.).

67. როდესაც მოწმდება სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ხელმოწერის ნიმუშები იმ ბარათებზე, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებებსა და სახელმწიფო შემნახველ სალაროებში, — აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეამოწმებენ — ამ პირთა ხელმოწერის უფლებამოსილებას, ხოლო თუ მათ ხელმოწერას არ იცნობენ, მოითხოვენ, რომ ისინი პირადად გამოცხადდნენ.

6. საზღვაო პროტესტების შესრულება

68. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მიიღებენ გემების კაპიტნების განცხადებებს იმ შემთხვევათა შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ვემების ნაოსნობის ან დგომის დროს, რომლებიც შესაძლოა გახდეს გემთმფლობელებისადმი ქონებრივი მოთხოვნების წარდგენის საფუძველი.

69. კაპიტნის განცხადებისა და გემის ჟურნალის მონაცემების, აგრეთვე თვით კაპიტნის და, თუ შესაძლებელია, გემის ეკიპაჟის უფროს პირთა რიცხვიდან სულ ცოტა ორი მოწმის და გემის საკომანდო შემადგენლობიდან ორი მოწმის გამოკითხვის საფუძველზე, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შეადგენენ აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ. აქტი საზღვაო პროტესტის შესახებ შედგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი ცალი ეძლევა კაპიტანს ან მის რწმუნებულს.

აქტი საზღვაო პროტესტის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) აქტის შედგენის თარიღს, აღმასრულებელი კომიტეტის იმ თანამდებობის პირის გვარსა და ინიციალებს, რომელმაც აქტი შეადგინა;

ბ) შემთხვევის შესახებ განცხადების შემოსვლის თარიღს, გემის დასახელებას, ვის ეკუთვნის იგი, კაპიტნის გვარს, სახელს, მამის სახელს, მის მოქალაქეობას და საცხოვრებელ ადგილს;

გ) კაპიტნის განცხადების შინაარსს;

დ) ყოველი გამოკითხული მოწმის გვარს, სახელს, მამის სახელს, თანამდებობრივ (სამსახურებრივ) მდგომარეობას და საცხოვრებელ ადგილს, მისი ჩვენების შინაარსს;

ე) გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის რაოდენობას;

აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ ხელს მოაწერს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელმაც აქტი შეადგინა და დაამოწმებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდის დასმით. კაპიტნისა და მოწმეთა ჩვენებებს შესაბამისად ხელს მოაწერენ კაპიტანი და მოწმეები.

7. სააღსრულებო წარწერების გაკეთება

70. ფულადი თანხების გადასახდევინებლად ან მოვალისაგან ქონების გამოსათხოვნელად აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები გააკეთებენ სააღსრულებო წარწერებს საბუთებზე, რომლებიც დავალიანებას ადასტურებენ.

სააღსრულებო წარწერების გაკეთების დროს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან შეამოწმონ — წარადგინა თუ არა გადამხდევინებელმა დავალიანების გადახდევინების დასასაბუთებლად იმ დოკუმენტების ნუსხით გათვალისწინებული საბუთები, რომელთა მიხედვით დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე; ეს ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით შემდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომი ცვლილებებით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აგვისტოს № 474, 1960 წლის 9 აპრილის № 213, 1961 წლის 27 მაისის № 319, 1963 წლის 10 აპრილის № 235, 1963 წლის 2 აგვისტოს № 505, 1965 წლის 12 ივნისის № 433, 1966 წლის 27 მაისის № 318, 1967 წლის 31 მარტის № 214 დადგენილებანი).

71. სააღსრულებო წარწერა გაკეთდება, თუ:

ა) წარდგენილი საბუთები ადასტურებენ დავალიანების ან გადამხდევინებლის წინაშე მოვალის სხვა პასუხისმგებლობის უდავობას;

ბ) სარჩელზე უფლების წარმოშობის დღიდან გავიდა არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებსა, საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში — არა უმეტეს ერთი წლისა;

თუ მოთხოვნისათვის, რომლის მიხედვით კეთდება სააღსრულებო წარწერა, კანონით დაწესებულია ხანდაზმულობის სხვა ვადა, სააღსრულებო წარწერა გაიცემა ამ ვადის ფარგლებში.

ვადა, რომლის განმავლობაში შეიძლება შესრულდეს სააღსრულებო წარწერა, გამოიანგარიშება იმ დღიდან, როდესაც გადამხდევინებლისათვის წარმოიშვა იძულებითი გადახდევინების უფლება.

72. სააღსრულებო წარწერა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) იმ თანამდებობის პირის თანამდებობას, გვარსა და ინიციალებს, რომელიც სააღსრულებო წარწერას ასრულებს;

ბ) გადამხდევინებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოვალის ვინაობასა და მისამართს;

დ) იმ ვადის აღნიშვნას, რომლისთვისაც წარმოებს გადახდევინება;

ე) გადასახდევინებელი თანხების ან გამოსათხოვნი საგნების აღნიშვნას, მათ შორის საურავისა, პროცენტებისა, თუ ასეთები ეკუთვნის;

ვ) იმ სახელმწიფო ბაჟის თანხის აღნიშვნას, რომელიც გადამხდევინებელმა გადაიხადა ან მოვალეს უნდა გადახდეს;

ზ) სააღსრულებო წარწერის შესრულების თარიღს (წელი, თვე, რიცხვი);

თ) ნომერს, რომლითაც რეგისტრირებულია რეესტრში სააღსრულებო წარწერა;

ი) იმ თანამდებობის პირის ხელმოწერას, რომელმაც შეასრულა სააღსრულებო წარწერა, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის გერბის ბეჭედს.

73. სააღსრულებო წარწერა გაკეთდება საბუთის დედანზე, რომელიც დავალიანებას ადასტურებს. ამ საბუთის გარეშე სააღსრულებო წარწერა არ გაკეთდება.

74. თუ დავალიანების დამადასტურებელი საბუთის მიხედვით უნდა მოხდეს გადახდევინება ნაწილ-ნაწილად, მაშინ სააღსრულებო წარწერა თვითეული გადახდევინების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს ამ საბუთის ასლზე ან მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერზე; ამ შემთხვევებში საბუთის დედანზე გაკეთდება აღნიშვნა სააღსრულებო წარწერის შესრულების შესახებ გადასახდევი-

ნებელი თანხის, თარიღისა და იმ ნომრის აღნიშვნით, რომლითაც იგი რეგისტრირებულია რეესტრში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში დარჩება დავალიანების დამადასტურებელი საბუთის ასლი, ან მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი და სააღსრულებო წარწერის ასლი.

ერთი და იგივე ვალდებულების მიხედვით სააღსრულებო წარწერის ყოველი შემდგომი შესრულების დროს დავალიანების დამადასტურებელი საბუთის ასლის წარდგენა საჭირო არ არის. ამ შემთხვევებში წარდგენილი იქნება მხოლოდ ორი ცალი ამონაწერი პირადი ანგარიშიდან და ვალდებულების დედანი. ამონაწერის ერთი ცალი სააღსრულებო წარწერით და ვალდებულების დედანი დაუბრუნდება გადამხდევინებელს, ამონაწერის მეორე ცალი რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

75. ერთგვაროვანი ფორმის საბუთებით (სესხი, ბინის ქირა და ა. შ.) რამდენიმე სააღსრულებო წარწერის შესრულების დროს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეიძლება დარჩეს დავალიანების დამადასტურებელი საბუთის ერთი ასლი (ერთ-ერთ მოვალეზე) და სია ყველა მოვალისა, რომელთაგან გადასახდევინებლად შესრულებულია სააღსრულებო წარწერები, ამასთან უნდა აღინიშნოს მოვალეთა სრული დასახელება და მისამართი, გადასახდელთა ვადები, გადასახდევინებელი თანხის ოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა მონაცემებიც.

თუ სააღსრულებო წარწერის შესასრულებლად, დავალიანების დამადასტურებელი საბუთის გარდა, საჭიროა იმ საბუთების ნუსხაში აღნიშნული სხვა საბუთების წარდგენაც, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, — ეს საბუთები არ დაერთვის სააღსრულებო წარწერებს, არამედ რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება სანოტარო მოქმედებისათვის

76. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს კანონით გათვალისწინებული წესით იმ სანოტარო მოქმედებისათვის, რასაც ისინი ასრულებენ.

77. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს სანოტარო მოქმედებისათვის, რაც ჩამოთვლილია 85 პუნქტში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის ინსტრუქციისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, გათვალისწინებული ოდენობით და შემდეგი წესით:

1) 50 მანეთზე მეტი თანხის ხელშეკრულებათა, ისეთ ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის, რომლებიც არ უნდა იქნას შეფასებული, და მინდობილობათა დამოწმებისათვის — 30 კაპიკს;

2) ხელმოწერის სინამდვილის დამოწმებისათვის (ყოველ საბუთში) — 10 კაპიკს;

3) ასლებისა და ამონაწერების სისწორის დამოწმებისათვის (გვერდში) — 10 კაპიკს.

78. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს ქვემოჩამოთვლილი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია 40 პუნქტით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის ინსტრუქციისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, შემდეგი წესით:

1) 50 მანეთზე ზევით 500 მანეთამდე თანხის ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის — 1 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ 1 მან. და 50 კაპიკისა;

2) 50 მანეთზე ზევით 500 მანეთამდე თანხის ქონებრივი დაქირავების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის — 3 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ 1 მან. და 50 კაპიკისა;

3) სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღებისათვის — 50 კაპიკს.

აღმასრულებელი კომიტეტის შენობათა გარეთ (შინ) 500-ზე მეტი მანეთის ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის გადახდება ბაჟი ორმაგი რაოდენობით და, ამის გარდა, ანაზღაურებულ უნდა იქნას ფაქტიურად გაწეული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სანოტარო მოქმედების შესასრულებლად შინ მისვლასთან.

79. ისეთ ხელშეკრულებათა პროექტების შედგენისათვის, რომლის თანხა 500 მანეთს არ აღემატება, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს — 2 მან. და 50 კაპიკს.

80. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს ქვემოჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებისათვის იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია 40 პუნქტით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის ინსტრუქციით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, შემდეგი წესით:

1) გაყოფის ხელშეკრულებათა, თავდებობის ხელშეკრულებათა და ისეთ ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის, რომელთა შეფასება არ ხდება, — 2 მან. და 50 კაპიკს;

2) არა უმეტეს 500 მან. თანხის ქონებრივი დაქირავების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის — 3 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ 1 მან. და 50 კაპიკისა;

3) არა უმეტეს 500 მან. თანხის სხვა ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის— 1 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ 1 მან. და 50 კაპიკისა;

4) ქონების გამგებლობის და საკრედიტო ოპერაციების შესრულების მინდობილობათა დამოწმებისათვის — 2 მანეთს;

5) სხვა მინდობილობათა დამოწმებისათვის — 50 კაპიკს;

6) ხელმოწერის სინამდვილის დამოწმებისათვის (თვითეულ საბუთში) — 30 კაპიკს;

7) ასლებისა და ამონაწერების სისწორის დამოწმებისათვის (გვერდში) — 20 კაპიკს;

8) სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღებისათვის — 50 კაპიკს.

როდესაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სანიტარო მოქმედებას ასრულებენ აღმასრულებელი კომიტეტის სადგომების გარეთ (შინ), ბაჟი გადახდება ორმაგი რაოდენობით და, ამის გარდა, ანაზღაურებულ უნდა იქნას ფაქტიურად გაწეული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სახოტარო მოქმედების შესასრულებლად შინ მისვლასთან.

81. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს პროექტების შედგენისათვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია 40 პუნქტით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის ინსტრუქციისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, შემდეგი წესით:

1) ხელშეკრულებათა პროექტების შედგენისათვის — 2 მან. და 50 კაპიკს;

2) მინდობილობათა და გასცხადებათა პროექტების შედგენისათვის — 50 კაპიკს;

3) საბუთების გადაწერისათვის (თვითეულ გვერდში) — 30 კაპიკს.

82. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟი ნაღდ ფულად მიეცემა აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს (თავმჯდომარეს) ბაჟგადასახდელი მოქმედების შესრულების დროს ან ბაჟგადასახდელი საბუთების გაცემის დროს. ბაჟის გადახდის შესახებ გაიცემა გათვალისწინებული ფორმის ქვითარი. გაცემულ საბუთებზე და სანოტარო რეესტრში აღინიშნება გადახდევინებული ბაჟის თანხა და ქვითრის ნომერი. როდესაც სანოტარო მოქმედება ბაჟისაგან თავისუფალია, ამის შესახებ გაკეთდება წარწერა საბუთზე და სახოტარო რეესტრში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იქნება შემდეგნაირად: როდესაც ბაჟის თანხა 10 მანეთამდეა — მოხდება საბაჟო მარკების ჩაწებება სანოტარო რეესტრში, ხოლო როცა თანხა დიდია — შეიტანება ნაღდი ფული საბანკო დაწესებულებაში ან იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორება.

83. სანოტარო მოქმედების შესრულებისას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გამოიყენებენ ბაჟის შეღავათებს, რომლებიც გათვალისწინებულია 60 და 89 პუნქტებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის ინსტრუქციისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამატებით დაწესებულ შეღავათებს.

IV. აღმასრულებელი კომიტეტების იმ თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრება, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ

84. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან განმარტონ უარის გასაჩივრების წესი და იმ პირის თხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, ჩამოაყალიბონ უარის მიზეზები წერილობითი ფორმით.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის ადგილსამყოფელის მიხედვით იმ დღიდან ათი დღის ვადაში, როცა დაინტერესებულ პირს აცნობენ, რომ მას უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 286).

ამავე წესით შეიძლება გასაჩივრდეს სანოტარო მოქმედება, თუ დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ იგი სწორად არ არის შესრულებული.

85. სანოტარო მოქმედების შესრულების დაყოვნებაზე საჩივრები შეიტანება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტში.

ასეთი საჩივრების შეტანის ვადა განსაზღვრული არ არის.

V. საქმისწარმოება

86. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული საქმისწარმოება სრულდება იმ საქმისწარმოების შესაბამისად, რაც შემოღებულია სახელმწიფო სანოტარო კანტორებში.

87. სანოტარო რეესტრები უნდა იყოს ზონარგაყრილი, მათი ფურცლები დანომრილი. ფურცლების რიცხვი უნდა იყოს დამოწმებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკის ხელმოწერით და ამ აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდის დასმით.

რეესტრში რეგისტრირებულ ყოველ სანოტარო მოქმედებას მიეკუთვნება ცალკეული რიგითი ნომერი.

ნუმერაცია რეესტრში ყოველი კალენდარული წლის დამდეგიდან იწყება პირველი ნომრით.

სანოტარო მოქმედება ჩაიწერება რეესტრში მელნით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამმოწმებელ წარწერას ან გასაცემ საბუთს ხელს მოაწერენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები.

რეესტრში ამოფხეკა არ შეიძლება, შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს, ხოლო შეტანილი შესწორებების შესახებ უნდა გაკეთდეს ცალკე აღნიშვნა აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა ხელმოწერით.

88. დამამოწმებელი წარწერების ტექსტი გარიგებებზე და დასამოწმებელ საბუთებზე შეიძლება აღინიშნოს სპეციალურად დამზადებული შტამპებით ან დაიწეროს ხელით.

თუ დამამოწმებელი ან სააღსრულებო წარწერა არ ეტევა შესაბამის საბუთზე, მას შეიძლება მიემაგროს ქაღალდის დამატებითი ფურცელი. ამ შემთხვევაში საბუთი და ქაღალდის ფურცელი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დამოწმებული აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთა ხელმოწერით და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდის დასმით.

დამამოწმებელი ან სააღსრულებო წარწერების დასაწყისი სიტყვები შეძლებისდაგვარად უნდა მოთავსდეს დასამოწმებელ საბუთზე ან დავალიანების დამადასტურებელ საბუთზე.

ფურცლების მიმაგრება ან ჩაწებება საბუთის ასლის სინამდვილის დამამოწმებელი წარწერისათვის, აგრეთვე საბუთის დუბლიკატზე წარწერისათვის— არ დაიშვება.

89. ეგზემპლარები სანოტარო წესით დამოწმებული ყველა გარიგებისა, შესრულებული სააღსრულებო წარწერებისა საბანკო დაწესებულებათა, სამეურნეო ანგარიშის საწარმოთა და ორგანიზაციათა შეტყობინებების წარწერით, რომ ყადაღა დადებულია საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე, აგრეთვე საზღვაო პროტესტის აქტების ეგზემპლარები ინახება განრიგში.

აღნიშნული გარიგებების ან საბუთების თვითეულ სახეობაზე შეიძლება შემოღებულ იქნას ცალკეული განრიგები.

90. საბუთები, რომელთა საფუძველზე შესრულებულია სანოტარო მოქმედებანი, დაერთვის იმ გარიგებების, სააღსრულებო წარწერების და სხვა ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში არ იქნება დატოვებული შემდეგი საბუთები ან მათი ასლები:

ა) იურიდიულ პირთა წესდებანი და მათი დებულებანი, აგრეთვე საბუთები მათი წარმომადგენლების უფლებამოსილების შესახებ — როდესაც ხდება ხელშეკრულებათა და მინდობილობათა დამოწმება იურიდიულ პირთა სახელით ან მათ სახელზე;

ბ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელ ბინაზე, — გასხვისების გარიგებათა დამოწმებისას იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე მთლიანად არ ასხვისებს მის კუთვნილ სახლს (სახლის ნაწილს) ან ბინას ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში; როდესაც მესაკუთრეებს აქვთ ერთი საერთო საბუთი სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე და ერთი მათგანი ასხვისებს მის კუთვნილ წილს (ან წილის წილს) და როდესაც ხდება ხელშეკრულების დამოწმება მოუთავებელი სახლის გასხვისების შესახებ.

91. სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების დროს აღწერილ ფასეულობათა აღრიცხვისათვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებში წარმოებს ფასეულობათა აღრიცხვის წიგნი.

92. საბუთებზე დამამოწმებელი წარწერები კეთდება სათანადო შტამპის დასმით (ფორმები №№ 1-7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი ინსტრუქციისა
მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო
და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი
კომიტეტების მიერ სანოტარო
მოქმედებათა შესრულების
წესის შესახებ
ფორმა № 1

დამამოწმებელი წარწერა ხელშეკრულებაზე

19 წ. „——“ ——————————————
(რიცხვი, თვე)

ეს ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმებულია საქართველოს სსრ

—————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების ——————
(რაიონული, საქალაქო,

—————————— საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.
სადაბო, სასოფლო)

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი —————— მან.

სანოტარო რეესტრის № ——————

თავმჯდომარე ან მდივანი ——————
(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფორმა № 2

დამამოწმებელი წარწერა მინდობილობაზე

19 წ. „——“ ——————————————

(რიცხვი, თვე)

ეს მინდობილობა სანოტარო წესით დამოწმებულია საქართველოს სსრ

—————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების ——————

(რაიონული, საქალაქო,

—————————— საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

სადაბო, სასოფლო)

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი —————— მან.

სანოტარო რეესტრის № ——————

თავმჯდომარე ან მდივანი——————

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფორმა № 3

დამამოწმებელი წარწერა ასლის სინამდვილისა

19 წ. „——“ ——————————————
(რიცხვი, თვე)

საქართველოს სსრ ——————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების

——————————————————————————————— საბჭოს
(რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო)

აღმასრულებელი კომიტეტი ადასტურებს ამ ასლის სისწორეს მის დედანთან.

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი ——— მან.

სანოტარო რეესტრის № ——————————

თავმჯდომარე ან მდივანი ——————————
(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფორმა № 4

დამამოწმებელი წარწერა ხელმოწერის სინამდვილის დამოწმებისა

19 წ. „——“ ——————————————

(რიცხვი, თვე)

საქართველოს სსრ —————————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების

——————————————————————————————— საბჭოს

(რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო)

აღმასრულებელი კომიტეტი ადასტურებს იმის სინამდვილეს, რომ მოქალაქე

——————————————————————————————————

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

ნამდვილად მოაწერა ხელი ამ საბუთს.

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი ——— მან.

სანოტარო რეესტრის № ——————————

თავმჯდომარე ან მდივანი ——————————

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფორმა № 5

დამამოწმებელი წარწერა

იმ პირის ხელმოწერის სინამდვილის დამოწმებისა, რომელმაც ხელი მოაწერ სხვა მოქალაქის მაგივრად, მისი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო

19 წ. „——“ ——————————————
(რიცხვი, თვე)

საქართველოს სსრ —————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების

——————————————————————————————
(რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო)

—————————————— საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ადასტურებს, რომ მოქალაქე ——————————————
(გვარი, სახელი და

——————————————————————————————
მამის სახელი)

ნამდვილად მოაწერა ხელი მოქალაქე ——————————————
(გვარი, სახელი და

—————————————— მაგივრად მისი თხოვნით, უკანასკნელის
მამის სახელი)

ავადმყოფობის —————————————— გამო.
(ან სხვა მიზეზის)

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი ——— მან.

სანოტარო რეესტრის № ——————————

თავმჯდომარე ან მდივანი ——————————
(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფორმა № 6

1 გვერდი

სანოტარო რეესტრი

საქართველოს სსრ ———————— რაიონის მშრომელთა დეპუტატების

———————————————————————— საბჭოს

(რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო)

აღმასრულებელი კომიტეტისა

19 წ. „——“

მე-2 და შემდეგი გვერდები

№№ რიგზე	წელი, თვე, რიცხვი	იმ პირთა (მათ წარმომადგენელთა) დასახელება, რომლებისთვისაც სრულდება სანოტარო მოქმედება, მათი მისამართები, წარმოდგენილი საბუთები	სანოტარო მოქმედების შინაარსი	გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი ან აღნიშვნა სახელმწიფო ბაჟისგან განთავისუფლების შესახებ	ხელმოწერა საბუთის მიღებაზე
1	2	3	4	5	6

უკანასკნელი გვერდი

ამ რეესტრში არის ———————— დანომრილი, ზონარგაყრილი

(რაოდენობა)

და ბეჭდით დამოწმებული ფურცელი.

თავმჯდომარე ————————

(ხელმოწერა)

მდივანი ————————

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 7

აღწერილობის აქტი

19 წ. „——“ —————— მე, საქართველოს სსრ —————— რაიონის

მშრომელთა დეპუტატების ——————————————— საბჭოს
(რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო)

აღმასრულებელი კომიტეტის ——————————————————
(თანამდებობის პირის გვარი, სახელი და მამის სახელი)

სახლმმართველის —————————— მოწმეების ——————————
(გვარი, სახელი და მამის სახელი) (გვარი, სახელი და მამის სახელი)

—————— და დაინტერესებული პირების ——————————
(გვარი, სახელი და

—————— მონაწილეობით შევადგინე, საქართველოს სსრ ნოტარიატის
მამის სახელი)

დებულების 45 პუნქტის საფუძველზე, აქტი ქონების აღწერისა ——————
(ქონების ადგილ-

—————— რომელიც დარჩა მოქალაქე ——————————
სამყოფელი) (გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი)

გარდაცვალების შემდეგ, რაც მოხდა 19 წ. „——“ ——————
(რიცხვი, თვე)

№№ რიგზე	ქონების დასახელება (საგნების დაწვრილებითი დახასიათებით)	რაოდენობა	შეფასება (მანეთობ.)	შენიშვნა

(აღინიშნოს აღწერილი ქონების საერთო ღირებულება)

ეს აქტი შედგენილია —————————— ცალად.
(რაოდენობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთა ხელმოწერა, რომლებიც აქტის

შედგენას დაესწრნენ ——————————————————————

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ფასეულობანი, რომლებიც აღწერილია აქტში №-ით ——————————

სახელდობრ: ——————————————————————— ამოღებულია

(საგნების დასახელება)

შესანახად, გადასაცემად

იმ პირთა ხელმოწერა, რომლებიც აქტის შედგენას

დაესწრნენ ——————————————————————————

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

ამ აქტში ჩამოთვლილი ქონება, გარდა ამოღებული ფასეულობებისა, მივიღე საპასუხისმგებლო შესანახად ——————————————

(გვარი, სახელი, და მამის სახელი,

——————————————————————————————

პასპორტის მონაცემები და მისამართი)

გაფრთხილებული ვარ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მეკისრება შესანახად გადმოცემული ქონების მითვისებისათვის ან გაფლანგვისათვის

19 წ. „——“ ——————————————

იმ პირის ხელმოწერა, რომელმაც ქონება

მიიღო შესანახად

ეს აქტი ჩაწერილია სანოტარო რეესტრში

19 წ. „——“ ——————————— № ————

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი 50 კაპიკი

თავმჯდომარე ან მდივანი ——————————— .

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)

23 კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის მესამე სესიის მიერ 1967 წლის 12 ოქტომბერს მიღებული კანონისა „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 აგვისტოს № 814 დადგენილებისა ამ საკითხზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ცალკეული სახის ქონების დაზღვევის გადასახდელთა განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევისა, მისი სრული ღირებულების პროცენტულად, რაც გამოანგარიშებულია უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო მოსავლიანობისა და მოქმედი სახელმწიფო შესასყიდი ფასების საფუძველზე იმ ფართობზე გაანგარიშებით, რომელიც წინა წელს ეკავა კოლმეურნეობაში კულტურებს (საშემოდგომო კულტურებს და მრავალწლიან ნათეს ბალახებს — მიმდინარე წლის მოსავლისათვის), აქედან:

საშემოდგომო მარცვლეული, აგრეთვე ეთერზეთოვანი კულტურებისა (მათ შორის ყაზანლიყის ვარდისა) და სოიოსი — 9 პროც.

საგაზაფხულო მარცვლეული და პარკოსანი კულტურებისა, აგრეთვე მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლისა — 7,5 პროც.

საკვები ძირხვენებისა, საკვები ბაღჩეული და სასილოსე კულტურებისა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნათესი ბალახებისა და მათი სათესლეებისა, აგრეთვე ვენახებისა და თამბაქოსი —10 პროცენტი.

მრავალწლიანი ხეხილის კულტურებისა, აგრეთვე კარტოფილისა, ბოსტნეულისა, სასურსათო ბაღჩეული კულტურებისა და მათი სათესლეებისა — 8 პროცენტი,

ჩაისა — 2 პროცენტი,

დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა — 6 პროცენტი.

ბ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, შინაური ფრინველის, ბოცვერების, ბეწვოვანი ნადირის და ფუტკრის ოჯახების დაზღვევისა მათი სრული საბალანსო (საინვენტარო) ღირებულების (მუშა პირუტყვის ამორტიზაციის გათვალისწინებით) პროცენტულად მოცემული წლის 1 იანვრისათვის.

მათ შორის:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა	— 0,8	პროცენტი
ღორისა	— 1,5	„
ცხვრისა და თხისა	— 2,5	„
ცხენისა, ჯორისა და ვირისა	— 2,0	„
შინაური ფრინველისა	— 2,0	„
ფუტკრის ოჯახების	— 0,5	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შენობათა, ნაგებობათა და სხვა ქონების დაზღვევისა სრული საბალანსო (საინვენტარო) ღირებულების პროცენტულად ამორტიზაციის გათვალისწინებით, ხოლო პროდუქციის, ნედლეულის და მასალების დაზღვევისა სრული საბალანსო (საინვენტარო) ღირებულების პროცენტულად მოცემული წლის 1 იანვრისათვის, მათ შორის:

შენობათა, ნაგებობათა, გადამცემ მოწყობილობათა ძალოვანი, სამუშაო და სხვა მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობის, ინვენტარის, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების დაზღვევისა — 0,15 პროც.

თევზსაჭერი გემებისა და სათევზაო იარაღებისა — 1,0 პროც.

დ) მრავალწლიანი ნარგავების დაზღვევისა მოცემული წლის 1 იანვრისათვის სრული საბალანსო (საინვენტარო) ღირებულებიდან ამორტიზაციის გათვალისწინებით, მათ შორის:

ჩაის ნარგავებისა	— 0,2 პროცენტი
ციტრუსებისა	— 2,0 „
სხვა სახის ნარგავებისა	— 0,5 „

2. დაწესდეს კოლმეურნეობების მიერ კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის გადასახდელების გადახდის შემდეგი ვადები:

I ვადა	წლიური	თანხის	30	პროცენტის	რაოდენობით 1 ივნისისათვის
II ვადა	„	„	30	„	„ 1 სექტემბრისათვის
III ვადა	„	„	40	„	„ 15 ოქტომბრისათვის.

3. განისაზღვროს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სათადარიგო ფონდი (გარდა კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისა) ერთი მილიონი მანეთის რაოდენობით, ამასთან დაწესდეს, რომ ეს ფონდი შეიქმნება სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების მოგების 6-პროცენტიანი ყოველწლიური ანარიცხებიდან.

4. კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის ახალი პირობებისა და ამასთან დაკავშირებით დაზღვევის ორგანოების პასუხისმგებლობის გადიდების შესაბამისად გარდაიქმნას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოდ.

5. შეიქმნას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის საკითხების საბჭო.[1])

[1]) შემადგენლობა არ მოიყვანება.

6. დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ცხოველებისა და სხვ ქონების დაღუპვის და დაზიანების თავიდან აცილების იმ ღონისძიებათა დაფინანსების ნუსხა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე, დანართის თანახმად.

დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ აღნიშნული თანხების სწორად გამოყენებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 22 დეკემბერი, № 752.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 22 დეკემბრის № 752
დადგენილების დანართი

ნუსხა ღონისძიებებისა,

რომლებიც ხორციელდება კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის გადასახდელების 4-პროცენტიანი ანარიცხების, აგრეთვე ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის 8-პროცენტიანი ანარიცხების სახსრების ხარჯზე

1. სახანძრო ფარდულების, დეპოების, კოშკურების მშენებლობა, გაწყობა და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე სახანძრო კავშირის განვითარება.

2. სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოების მშენებლობა და გაწყობა.

3. სოფელ ადგილებში სახანძრო წყალსატევების, საგუბრების და მათთან მისასვლელი გზების მოწყობა.

4. სახანძრო ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა და რემონტი.

5. კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსთა, აგრეთვე იმ შოფრების (მოტორისტების) მომზადების სუბსიდირება, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახანძრო ტექნიკას, სასწავლო შეკრებებსა და კურსებზე გაგზავნილ პირთა სამგზავრო ხარჯებისა და დღიურების ჩათვლით, იმ წესით და ოდენობით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. კოლმეურნეობათა მოწინავე სახანძრო რაზმების დაჯილდოება, რომლებმაც საუკეთესო ნიმუშები უჩვენეს სახანძრო დაცვის საქმის დაყენებაში, აგრეთვე ამ რაზმების წევრთა და სხვა პირთა დაჯილდოება ხანძრებთან ბრძოლის დროს თავდადების გამოჩენისათვის.

7. ერთდროული დახმარების მიცემა ოჯახისათვის იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო (საკოლმეურნეო) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის ან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაზმის წევრი გარდაიცვალა ხანძრის ქრობის დროს, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობის დროს, ხანძრის ჩასაქრობად წასვლისა და უკან დაბრუნების დროს, ან სასოფლო (საკოლმეურნეო) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის (გამსვლელი ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაზმის) წევრისათვის, თუ იგი ინვალიდი გახდა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მუშაობის დროს.

8. ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა პროპაგანდა.

9. ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებების და ვეტერინარული ლაბორატორიების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი.

10. ინსტრუმენტებისა და მოწყობილობათა შეძენა ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებებისა და ვეტერინარული ლაბორატორიებისათვის.

11. ზოოვეტერინარული ქსელისათვის გამოყოფილი ავტოსადეზინფექციო დანადგარების, სამგზავრო ვეტერინარული ლაბორატორიების და ამბულატორიების შეძენა.

12. იმ მასალების ანაზღაურება, რომლებიც შემოაქვთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კანის ბუზანკალის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე ცოფიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების ანაზღაურება.

13. გასამრჯელოს მიცემა მონადირეთა საზოგადოებებისა და მათი ცალკეული წევრებისათვის მტაცებელი ნადირების დახოცვის გამო, აგრეთვე ყველა მონადირისათვის, რომლებიც დამამზადებელ ორგანიზაციებს აბარებენ მგლის ტყავებს.

14. პირუტყვის დაავადების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა პროპაგანდა.

15. ვეტერინარული დაწესებულებებისათვის, რაიონული და საქალაქო სახანძრო ინსპექციებისათვის (რაზმებისა და ნაწილებისათვის) და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სატრანსპორტო საშუალებების (ავტომანქანების, მოტოციკლების, ცხენებისა და ველოსიპედების) და სატრანსპორტო მოწყობილობის (საზიდარების, მარხილების, აღკაზმულობისა და სხვათა) შეძენა.

16. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

17. მოყინვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (დაბოლება და სხვა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

24 საკედლე მასალების წარმოების გეგმის შესრულებაში საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ[1])

(ამონაკრები)

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს 1968 წელს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს იმ საწარმოების მუშაობა, რომლებიც საკედლე მასალებს ამზადებენ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს

ა) პირადი პასუხისმგებლობით განახორციელოს დაწესებულ ვადებში საკედლე მასალების დამამზადებელ საწარმოებში სამინისტროს მიერ თვითეული მათგანისათვის შემუშავებული ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყონ 1968 წლის სახელმწიფო გეგმის უცილობლივ შესრულება, და სისტემატური კონტროლი გაუწიოს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

ბ) დაამყაროს წესრიგი მიმწოდებელ საწარმოებსა და საშენ მასალათა მომხმარებელ საწარმოებს შორის ურთიერთანგარიშსწორებაში;

გ) უახლოეს დროში უზრუნველყოს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია სამინისტროს ყველა საწარმოში, რომლებიც საკედლე მასალებს ამზადებენ.

3. შეტანილ იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოთა და დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი შეთანხმება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენისათვის, — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ავჭალისა და აჯამეთის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნების საცხოვრებელი სახლები.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში დაფარონ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსადმი დავალიანება მისგან მიღებული საშენი მასალებისათვის და გაფრთხილება მიეცეთ მათ, რომ, 1968 წლიდან დაწყებული, ამ მასალების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში შეწყვეტილი იქნება მათი მიწოდება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს ნედლეულისა და მასალების თანაბრად და შეუფერხებლივ მიწოდება საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისათვის.

6. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ყოველწლიურად მიაწოდოს ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანას წითელწყაროს ქარხნის მიერ

[1]) დანართი არ მოიყვანება.

7. დაევალოს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ყოველწლიურად მიაწოდოს აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანას საჭირო ფრაქციის 56 ათასი ტონა ნამსხვრევი კირქვა.

8. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უზრუნველყოს, ტვირთზიდვის გეგმის შესაბამისად, ვაგონების პირველ რიგში მიწოდება ნედლეულის გასაგზავნად საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უმოკლეს ვადაში გადაწყვიტოს საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნან ნედლეულით ქუთაისის, თბილისისა და ცხაკაიას საშენ მასალათა კომბინატები, სამტრედიის და გურჯაანის აგურის ქარხნები და განსახილველად წარუდგინოს დადგენილი წესით საჭირო მასალები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კარიერისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფის გასაფორმებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 28 დეკემბერი. № 759.

25 საქართველოს სსრ მინისტრების და უწყებათა ხელმძღვანელების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I.

1. დამატებით გადაეცეს გადასაწყვეტად საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთათვისაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და მეცნიერებათა აკადემიას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდეგი საკითხები:

ა) გამოუყონ ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს სახსრები ტექნოლოგიური მოწყობილობის წინასამონტაჟო რევიზიების ჩასატარებლად, რომელთა აუცილებლობა წამოიჭრება მოწყობილობის ხანგრძლივ შენახვასთან დაკავშირებით, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ასიგნებათა ხარჯზე, შესაბამისი ობიექტების მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში, ამასთან ხარჯები მიეკუთვნოს მოწყობილობის ღირებულებას, აგრეთვე ნება დართონ მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შეიტანონ საჭირო შემთხვევებში პროგრამასა და შესაბამისად — შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა მოცულობაში აღნიშნული მოწყობილობის წინასამონტაჟო რევიზიების ჩატარების ხარჯები;

ბ) განახორციელონ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა დაფინანსება ერთეული ფასდების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვოდ), ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დამოუკიდებლად, სტიქიური უბედურების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

2. დამატებით გადაეცეს გადასაწყვეტად საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთათვისაც ხელფასის ფონდი გამოეყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას საკითხები, რომ განთავისუფლებულ იქნან სამინისტროს (უწყების) სისტემის ცალკეული საწარმოები ხელფასის ფონდის იმ გადახარჯვის ანაზღაურებისაგან, რაც დაშვებულია ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, რომელიც დაუწესდა სამინისტროს, უწყებას.

3. დამატებით გადაეცეს გადასაწყვეტად საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდეგი საკითხები:

ა) ნება დართონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც მათ გამოეყოთ საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის;

ბ) ნება დართონ ჩატარდეს საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის, სავაჭრო სადგომების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და კავშირგაბმულობის ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები ამ ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე;

გ) ნება დართონ ახლადშექმნილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს (საწარმოს მოწყობის დღიდან 8 თვის განმავლობაში) იჯარით აიღონ ცალკეულ შემთხვევებში მოქალაქეებისაგან საცხოვრებელი სადგომები სპეციალისტთა მოსათავსებლად იმ ანგარიშით, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ დაწესებული ბინის ქირის განაკვეთებს დაემატოს თვეში არა უმეტეს 3 მანეთისა ერთ სპეციალისტზე, ამასთან ეს ხარჯები მიეკუთვნოს შესაბამისი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს;

დ) ნება დართონ საწარმოებს, ორგანიზაციებს (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებებს (სამინისტროებისა და უწყებების აპარატის ჩათვლით) აძლიონ საჭირო შემთხვევაში მუშაკებს მათი თხოვნით მოკლევადიანი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად;

ე) გადაანაწილონ საბიუჯეტო ასიგნებანი საჭიროების შემთხვევაში ერთი პარაგრაფიდან მეორეში, აგრეთვე ერთი დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან სხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ბიუჯეტის ერთი და იმავე განაყოფის ფარგლებში, ხელფასის ფონდის გაუდიდებლად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

თუ ამ ღონისძიების განხორციელება გამოიწვევს ასიგნებათა გადანაწილებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებს შორის, წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ვ) შეიტანონ ცვლილებანი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და შტატებში ცენტრალური აპარატის შტატისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემები;

4. დამატებით გადაეცეს საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდეგი საკითხები:

ა) შეიტანონ, პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით, ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობების ნუსხაში, რომლებთანაც შეიძლება დაიდოს წერილობითი ხელშეკრულებანი იმ მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიღებულია მუშაკის საპასუხისმგებლო შესანახად ან სხვა მიზნებისათვის;

ბ) ნება დართონ შეუნარჩუნდეთ ცალკეულ შემთხვევებში კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, როდესაც ისინი გადაყავთ სამუშაოდ საექსპლუატაციოდ ახლად გადაცემულ საწარმოებში რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა საწარმოებიდან, საშუალო ხელფასი წარმოების ათვისების პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, თუ მათი ხელფასი ახალ სამუშაო ადგილზე იმ ხელფასზე ნაკლებია, რასაც ისინი წინანდელ სამუშაო ადგილზე იღებდნენ;

გ) დააწესონ საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, საწარმოების ცალკეული ჯგუფების მუშაკთა სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმი, სამუშაო დროის იმ საერთო ხანგრძლიობის დაცვით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;

დ) დააწესონ საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, სამუშაო დროის დაჯამებული აღრიცხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებებში, რომლებიც უშუალო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას;

ე) ნება დართონ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აწარმოონ მუშაკთა მიღება არასრული სამუშაო დღის ხანგრძლიობით ისე, რომ შრომა ანაზღაურებულ იქნას ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის, დაწესებული განაკვეთების (სარგოს) ან სანარდო ფასდების საფუძველზე;

ვ) გადაიყვანონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების მოქმედი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იმ მეურნეობათა დარგების მიხედვით, რომლებშიაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გატარებულია ხელფასის მოწესრიგება, — ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში, მათი წარმოების (მუშაობის) მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელონ ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით განაწილების დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით, — ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში.

თუ დამტკიცებული მაჩვენებლები არ მოიპოვება, დააყენონ საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

5. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ნება დართოს ცალკეულ შემთხვევაში უფასოდ ჩაატარონ ხელის სამართავი იმ ავტომობილების ერთჯერადი კაპიტალური რემონტი, რომლებიც შეღავათიან ფასებში მიიღეს სამამულო ომის ინვალიდებმა და სხვა ინვალიდებმა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილების გამოცემამდე, — იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია რესპუბლიკის ბიუჯეტით სოციალური უზრუნველყოფისათვის.

11.

გადაეცეს გადასაწყვეტად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შემდეგი საკითხები:

1. ნება დართონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოახდინონ მათი ქვესაუწყებო კომუნალური საწარმოების (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა ცენტრალიზაცია, აღნიშნული საწარმოების კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

2. ნება დართონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც მათ გამოეყოთ საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

3. განახორციელონ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა დაფინანსება ერთეული ფასდების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვებოდ), ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დამოუკიდებლად, სტიქიური უბედურების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

4. ნება დართონ, საჭირო შემთხვევებში, გაწეულ იქნას ხარჯები ინვენტარის შესაძენად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოებისათვის და ამ ორგანოების შენობათა კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავლებისა და გასავალზე შემოსავლის გადამეტების იმ თანხების ხარჯზე, რომლებიც რჩება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში.

სასამართლო ორგანოების ხაზით ეს ხარჯები გაწეულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით.

5. ყოველწლიურად ხარჯონ იმ სახსრების 10 პროცენტამდე, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომმარაგებელი კანტორების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სარემონტო კანტორების და სარემონტო-სამშენებლო ტრესტების, საშენი მასალებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საბინაო ფონდის რემონტისათვის საჭირო დეტალების დამამზადებელი საწარმოების ძირითადი (გარდა საცხოვრებელი სახლების და საერთო საცხოვრებლების მშენებლობისა) და საბრუნავი სახსრების შექმნისა და შევსებისათვის, აგრეთვე სახლმმართველობათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების მშენებლობისათვის და სარემონტო მოწყობილობისა და მათთვის ინვენტარისა და ინსტრუმენტების შესაძენად.

6. ნება დართონ საწარმოებს, ორგანიზაციებს (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებებს (მინისტრთა საბჭოების, საოლქო საბჭოს აღმასკომის და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის აპარატის ჩათვლით) აძლიონ საჭირო შემთხვევებში მუშაკებს მათი თხოვნით მოკლევადიანი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

7. ნება დართონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ჩამოწერონ, როგორც გამონაკლისი, ცალკეულ მსესხებლებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის იმ სესხთა უიმედო დავალიანება, რომლებიც გაცემულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტის (გასავალზე შემოსავლის გადამეტების) ხარჯზე.

III.

გადაეცეს გადასაწყვეტად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შემდეგი საკითხები:

1. ნება დართონ ქვეყანაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც მათ გამოეყოთ საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

2. ნება დართონ საჭირო შემთხვევებში გაწეულ იქნას ხარჯები ინვენტარის შესაძენად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოებისათვის და ამ ორგანოების შენობების კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავლებისა და გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხების ხარჯზე, რომლებიც რჩება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში.

სასამართლო ორგანოების ხაზით ეს ხარჯები გაწეულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით.

3. ნება დართონ საწარმოებს, ორგანიზაციებს (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) და დაწესებულებებს (აღმასკომის აპარატის ჩათვლით) აძლიონ საჭირო შემთხვევებში მუშაკებს მათი თხოვნით მოკლევადიანი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

4. ჩამოწერონ, როგორც გამონაკლისი, ცალკეულ მსესხებლებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის იმ სესხთა უიმედო დავალიანება, რომლებიც გაცემულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტის (გასავალზე შემოსავლის გადამეტების) ხარჯზე.

5. გადაიყვანონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ქვესაუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებშიაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გატარებულია ხელფასის მოწესრიგება, — ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მხრივ ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში მათი წარმოების (მუშაობის) მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელონ ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით განაწილების დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით, დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

უკეთუ არ მოიპოვება ჯგუფებზე (კატეგორიებზე) მისაკუთვნებლად საჭირო დამტკიცებული მაჩვენებლები, დააყენონ საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

IV.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის პუნქტები 17, 22 და 28 და № 2 დანართის პუნქტი 41.

V.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ფინანსთა სამინისტროსთან, სახმშენთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 29 დეკემბერი, № 765.

26 ქ. თბილისში რვასართულიანი მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლების (სართულის სიმაღლე 3 მეტრი) მშენებლობის ფასების პრეისკურანტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1968 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის და სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „ქალაქმშენსახპროექტის“ მიერ წარმოდგენილი პრეისკურანტი ქ. თბილისში რვასართულიანი მსხვილბლოკიანი 1გ—450ს სერიის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფასებისა, როდესაც სართულის სიმაღლე 3 მეტრს უდრის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 ივლისის № 479 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქ. თბილისში რვასართულიანი 48-ბინიანი ცგ-450-12/ს66 სერიის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, როდესაც სართულის სიმაღლე 3 მეტრს უდრის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 30 დეკემბერი, № 774.

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 ნოემბრის № 719 დადგენილების დამატებისა და შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 ნოემბრის № 719 დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა უწყებათა ტყეებში, პარკებსა და ბაღებში, აგრეთვე ყველა სახის ნარგავებში წიწვიანი ჯიშის ხეების მოჭრა და გაყიდვა საახალწლო ნაძვისხედ გამოსაყენებლად“.

2. მე-4 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „ეს აკრძალვა არ ვრცელდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან საახალწლო ნაძვისხის შემოზიდვაზე“.

3. მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საახალწლო ნაძვისხის მომჭრელ პირებს ჩამოერთმევათ საახალწლო ნაძვისხე და ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთის ოდენობით“.

4. მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნას მე-3 და მე-4 აბზაცები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 30 დეკემბერი, № 777.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

28 განკარგულება № 1490

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ნოემბრის № 1022 დადგენილება „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 23 ნოემბერი, № 1490.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 1022

1967 წლის 10 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებებისა „საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და „იმ პირთათვის შეღავათების გაფართოების შესახებ, რომლებიც მუშაობენ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი დებულებაში სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით.

1. დაემატოს მე-16 პუნქტს ქვეპუნქტები „გ“, „დ“ და „ე“ შემდეგი რედაქციით:

გ) საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშა ქალებს — იმ წარმოებათა და პროფესიათა სიის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, 50 წლის მიღწევის შემდეგ და არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟით;

დ) ინვალიდ მუშებსა და მოსამსახურეებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ჭრილობის, კონტუზიის ან სახიჩრობის გამო, რაც მიღებულია სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა ვალდებულებათა შესრულების დროს ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებით დაავადების გამო:

მამაკაცებს — 55 წლის მიღწევის შემდეგ და არა ნაკლებ 25 წლის მუშაობის სტაჟით;

ქალებს — 50 წლის მიღწევის შემდეგ და არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟით;

ე) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც უმუშავნიათ სულ ცოტა 50 კალენდარული წელი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან სულ ცოტა 20

კალენდარული წელი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში:

მამაკაცებს — 55 წლის მიღწევის შემდეგ და არა ნაკლებ 25 წლის მუშაობის სტაჟით;

ქალებს — 50 წლის მიღწევის შემდეგ და არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟით".

2. ჩამოყალიბდეს პუნქტი 41 პენსიების მინიმალური რაოდენობის ნაწილში შემდეგი რედაქციით:

„პენსიების მინიმალური რაოდენობა: ინვალიდობის I ჯგუფისათვის — თვეში 50 მანეთი; II ჯგუფისათვის — 35 მანეთი; III ჯგუფისათვის — 30 მანეთი".

3. დაემატოს 44-ე პუნქტს აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„პენსიები I და II ჯგუფის ინვალიდებს, რაც გამოანგარიშებულია 41-ე პუნქტის მიხედვით, მათ შორის 43-ე პუნქტისა და ამ პუნქტის პირველი აბზაცის გამოყენებით, მინიმალურის ჩათვლით, გაუდიდდებათ 15 მანეთი თვეში (პენსიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში).

4. ჩამოყალიბდეს პუნქტი 45 შემდეგი რედაქციით:

„45. ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც არ უმუშავნიათ მუშებად და მოსამსახურეებად სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და რომლებიც ინვალიდები გახდნენ ჭრილობის, კონტუზიის ან სახიჩრობის გამო, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო, პენსიები დაენიშნებათ შემდეგი მტკიცე ოდენობით თვეში:

	ინვალიდებს იმათ გარდა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან	ინვალიდებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან
I ჯგუფის ინვალიდებს	50 მანეთი	42 მანეთი 50 კაპიკი
II ჯგუფის ინვალიდებს	35 მანეთი	29 მანეთი 75 კაპიკი
III ჯგუფის ინვალიდებს	30 მანეთი	25 მანეთი 50 კაპიკი

5. დაემატოს 48-ე პუნქტს ახალი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„პენსიები I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც ენიშნებათ 45-ე პუნქტის მიხედვით, მათ შორის 47-ე პუნქტის და ამ პუნქტის პირველი აბზაცის გამოყენებით, გაუდიდდებათ თვეში 15 მანეთი".

6. დაემატოს 91 პუნქტს ქვეპუნქტები „გ", „დ" და „ე" შემდეგი რედაქციით:

„გ) საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშებს — წარმოებათა და პროფესიათა იმ სიის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

დ) ინვალიდ მუშებსა და მოსამსახურეებს იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ჭრილობის, კონტუზიის ან სახიჩრობის გამო, რაც მიღებულია სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო;

ე) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც უმუშავნიათ სულ ცოტა 15 კალენდარული წელი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან სულ ცოტა 20 კალენდარული წელი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში.

7. დაემატოს 92-ე პუნქტს ახალი აბზაცები შემდეგი რედაქციით:

„საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშა-ქალებს მოხუცებულობის პენსიები დაენიშნებათ შეღავათიან პირობებში, თუ იმ სტაჟის სულ ცოტა 20 წელიწადი, რაც საჭიროა მათთვის მოხუცებულობის პენსიების დასანიშნავად (მე-16 პუნქტის ქვეპუნქტი „გ"), მოდის საფეიქრო მრეწველობაში მუშაობაზე, რაც იძლევა შეღავათიან პირობებში პენსიის მიღების უფლებას, ან საერთო ჯამით ამ სამუშაოებზე და ამ დებულების მე-16 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე (დამოუკიდებლად უკანასკნელი მუშაობის ადგილისა).

მოხუცებულობის პენსიები შეღავათიან პირობებში ამ დებულების მე-16 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად დაენიშნებათ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიუხედავად, თუ იმ სტაჟის არა ნაკლები 15 კალენდარული წლისა, რაც საჭიროა მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად, მოდის უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში მუშაობაზე ან არა ნაკლებ 20 კალენდარული წლისა — უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ რაიონებში, ანდა თუ არა ნაკლებ 20 კალენდარული წლისა საერთო ჯამით მოდის უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობაზე. ამასთან შეფარდებული იქნება უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების და უკიდურეს ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებული ადგილების სია, რომელიც მოქმედებს პენსიის დასანიშნავად მიმართვის დღისათვის და დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

8. ჩამოყალიბდეს 109 პუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„როდესაც მოხუცებულობის და ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ შეღავათიან პირობებში ან შეღავათიანი ოდენობით მუშებსა და მოსამსახურეებს რომლებსაც უმუშავნიათ მიწისქვეშა სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე და ცხელ საამქროებში და შრომის მძიმე პირობებიან სხვა სამუშაოებზე (მე-16 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები) და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები მათ ოჯახებს, აგრეთვე მოხუცებულობის პენსიები საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშა-ქალებს (მე-16 პუნქტის ქვეპუნქტი „გ"), „კ"

და „ლ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული პერიოდები გაუთანაბრდება პენსიის მთხოვნელი პირის ამორჩევით ან იმ მუშაობას, რომელიც წინ უძღოდა მოცემულ პერიოდს, ან ამ პერიოდის შემდგომ მუშაობას“, „თ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პერიოდი გაუთანაბრდება ამ პერიოდის შემდგომ მუშაობას“.

9. ჩამოყალიბდეს 136 პუნქტის მეორე აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„პენსია I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რაც გამოანგარიშებულია ხელფასის პროცენტულად, ყველა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს იმ პენსიის ნაკლები, რაც სხვა თანაბარ პირობებში ენიშნებათ მტკიცე ოდენობით“.

10. დაემატოს 139 პუნქტს ახალი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„ამ პუნქტით დადგენილი წესები იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პენსიების ოდენობის შეზღუდვას ხელფასის 100 პროცენტით, არ გამოიყენება მაშინ, როდესაც ხდება პენსიის გადიდება (პენსიების მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში) ამ დებულების 44-ე პუნქტის შესაბამისად“.

11. დაემატოს 143 პუნქტს ახალი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„ამ დებულების მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პენსიების დანიშვნის დროს, ამის გარდა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება დაურთავს მის მიერ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისაგან მიღებულ ამონაწერებს შემოწმების აქტიდან“.

11. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1968 წლის 1 იანვრიდან, ხოლო იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის დებულების 41 და 45 პუნქტების შეცვლას, — 1968 წლის 1 მაისიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6, 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/III-1968 წ. ქაღალდის ზომა 70×108/16. ქაღალდი 21.000, ნაბეჭდი თაბახი 7,25, სააღრიცხვო თაბახი 7,0.

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა № 110 ტირაჟი 2800

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

6 88/58

ინდექსი—76187